პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 251 (18793) კვირა, 30 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 5 კაპ.

სამარადჟამოდ ერთად



საზეიმო სხდომის დარბაზში.

ფ. პრიმაკისა და ჯ. ლომაძის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ბერლინში გამართული XXXVII სესიის შედეგები და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ტიხონოვის მეთაურობით წარგზავნილი საბჭოთა კავშირის დელეგაციის საქმიანობის შედეგები. აღინიშნა, რომ სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობს წარმოების შემდგომ ინტენსიფიკაციას და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, სათბობ-სანედლეულო რესურსების რაციონალურ გამოყენებას ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში, საერთაშორისო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულ დაკმაყოფილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მაღალი შეფასება მისცა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნების მთავრობათა მიერ მიღებულ განცხადებას დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების განლაგების წინააღმდეგ, რომელმაც კვლავ დაადასტურა, რომ სოციალიზმის მომხე ქვეყნები უცვლელად ადგანან გამალებული შეიარაღების შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების, ხალხთა შორის მშვიდობის შენარჩუნებისა და თანამშრომლობის განვითარების გზს. პოლიტბიუროს აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის დროს გაწეულ მუშაობას ეკონომიკურ ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიკური თათბირის სამზადისის დასამთავრებლად, და გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი თათბირი ეფექტიანად მოემსახურება მომხე ქვეყნების ეკონომიკის წარმატებით განვითარებას, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის გაღრმავებას, სოციალისტური სახელმწიფოების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას.

მოწონებულია აგრეთვე ნ. ა. ტიხონოვისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ე. ჰონეკერის, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. იარუზელსკის და ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ფილიპოვის ორმხრივი შეხვედრების შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს ნავთობპროდუქტების მომჭირნე და რაციონალური გამოყენებისათვის მიმდინარე მუშაობის გაძლიერების საკითხი და განსაზღვრეს ამ მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარება, მისი ინტენსიფიკაცია, სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული მატერიალური რესურსების მომჭირნე გამოყენებასთან. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნავთობს, რომლის მოპოვება სულ უფრო შორეულ რაიონებში წარმოებს და წლითიწლობით სულ უფრო ძვირადღირებული ხდება.

პოლიტბიუროს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ ყოველ შრომითს კოლექტივში განიხილონ ნავთობპროდუქტების დაზოგვის პრაქტიკული საკითხები, წარმართონ მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა მეცადინეობა საწვავ-საპოხი მასალების დაზოგვის რეზერვების შემდგომი გამოვლენისა და გამოყენების, მათი დანაკარგების მკვეთრი შემცირებისათვის, გააძლიერონ კონტროლი ნავთობპროდუქტების დასაზოგად მიმდინარე მთელი მუშაობის მსვლელობისადმი, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებანი. დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას შრომის ორგანიზაციისათვის, ყოველ სამუშაო ადგილზე ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენების პირობების შექმნისათვის. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა უკიდურესად შესრულდეს ეფექტიანი სათბობდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის გეგმები, დაიხვეწოს, საწვავ-საპოხი მასალების ნორმირებისა და მოხმარების აღრიცხვის სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოისმინა და მოიწონა ამხანაგ დ. თ. უსტინოვის ინფორმაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების, თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის რიგგარეშე სხდომის შედეგებზე. განიხილეს აგრეთვე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების ზოგიერთი სხვა საკითხი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ

იური ვლადიმერის ძე ანდროპოვს

საბჭოთა საქართველოს მიწა-წყალზე დიდი დღესასწაულია. რუსეთიდან ზეიმით აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის, იმ ხელშეკრულების 200 წლისთავს, რომელმაც სამარადჟამოდ დაუკავშირა საქართველოს სვეტიცხოველს. ეს იყო გადამწყვეტი ისტორიული აქტი, რომელმაც ჩვენი ხალხი იხსნა ფიზიკური განადგურების გამუდმებული საფრთხისაგან, წარამძღვრები შეუქმნა ეროვნულ კონსოლიდაციას, დასაბამი მისცა საქართველოს ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ აღორძინებას.

საქართველოს მთელი შემდგომი ისტორია ადასტურებს გაკეთებული არჩევანის სისწორეს, ამ ღირსსახსოვარი მოვლენის წარუვალ მნიშვნელობას, რომელმაც, სხვა საარსებოდ მნიშვნელოვან დადებითს შედეგებთან ერთად, განმსაზღვრელობა შეუწყო ხელი ქართველი ხალხის, ამიერკავკასიის ყველა ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შერწყმას დიდი რუსი ხალხის ბრძოლასთან სოციალური სამართლიანობისათვის, ექსპლოატაციის ხუნდებისაგან შრომის განთავისუფლებისათვის.

გეორგიევსკის ტრაქტატი ორი მოძმე ხალხის— რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთობის მთელი წინანდელი ისტორიის კანონზომიერი შედეგი იყო. იგი საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის მრავალსაუკუნოვანმა განვითარებამ განაპირობა და ორივე ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს ესატყვისებოდა.

ჩვენ ვდღესასწაულობთ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს, რამეთუ ეს ხელშეკრულება გასდა ობიექტური წინამორბედი დიდი პროგრესული პროცესისა, რომელმაც, გამოატარა რა განმათავისუფლებელი ბრძოლის საუკუნეებში, ოქტომბრის რევოლუციის ბრძოლში, რუსი ხალხის, რუსეთის სახელოვანი პროლეტარიატის მხარდამხარ და გულდაგულ მოიყვანა ქართველი ხალხი თანასწორთა ერთიან ძმურ ოჯახში.

ჩვენი დღესასწაული გამოხატავს ხალხთა კავშირის გამარჯვებას. კავშირისას, რომელმაც ერთიანად შეადუღა ნარსული და აწმყო და მთელი არსებით ესწრაფვის მომავლისკენ. კავშირისას, რომლის საფუძველს, რომლის ურყევ საძირკველს შეადგენს ხალხთა მეგობრობა, ძმობა და კეთილი ნება.

ჩვენ ვდღესასწაულობთ მიღწევათა შემართებას, დიდ რუს ხალხთან დამოყვრებას, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან მეგობრობასა და ძმობას. მეგობრობას, რომელიც ფოლადივით იწრთობოდა პირველი ხუთწლედების მშენებლობებზე, ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების სადგ დღეებში. მეგობრობას, რომელიც იზრდებოდა და მტკიცდებოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მეგობრობას, რომელიც ნაცარტუტიდან აღორძინებდა ქარხნებს, ტეხდა ყამირს, ლაშქრავდა კოსმოსს. მეგობრობას, რომელიც დღეს აშენებს ბამსა და ენგურჰესს, ბაღნარად აქცევს უდაბნოებს, აშენებს ქალაქებს, ამშვენებს და გარდაქმნის დაუღალავი გარჯით ჩვენს გარემომცველ სამყაროს.

უდიდესი მადლიერებისა და სოციალისტური საშმობლოსათვის სიამაყის გრძნობით აღავსო რესპუბლიკის ყველა მშრომელი, კომუნისტები, კომკავშირელები, პარტიისა და შრომის ვეტერანები მისალმებამ, რომელშიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, საბჭოთა მთავრობამ აღნიშნეს ჩვენი წარმატებანი და გამოთქვეს რწმენა, რომ რესპუბლიკა კელავაც შეძლებს თავის წელილს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების, ჩვენი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ძლიერების განმტკიცების საქმეს.

საშმობლოს კიდევ ერთი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკას. მრავალეროვანი საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ყველა მშრომელი მას აღიქვამენ თავიანთი გარჯის უმაღლეს დაფასებად, მიიჩნევენ მოწოდებად არ დასჯერდნენ მიღწეულს, განაგრძონ წინსვლა, დალაშქრონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალ-ახალი მიჯნები, კელავაც განამტკიცონ შეგნებული კომუნისტური დისციპლინა, გააძლიერონ თითოეულის პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, საყოველთაოდ დაამკვიდრონ ყოველგვარი ნაკლოვანებების, საბჭოთა ცხოვრების წესის ნორმებისა და პრინციპებისაგან გადახრების შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთება, და ყველგან —მუშაობასა და ცხოვრებაში, დიდსა და მცირედში მხარი უსწორონ მოწინავეებს, ნოვატორებს.

აღვუთქვამთ მშობლიურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, პოლიტბიუროს, ჩარადად ამხანაგიური ვლადიმერის ძე ანდროპოვს, რომ მუდამ ყველაფერში ვეურთგულებთ ლენინის ანდერძს, ლენინის განაწესს, ინტერნაციონალური მშობისა და პროლეტარული სოლიდარობის დიად იდეალებს, ოქროს ასოებით რომ არის წარწერილი ლენინიზმის დროშაზე.

საბჭოთა ადამიანებს, ინტერნაციონალისტ-ლენინელებს, რომლებმაც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში მხარდამხარ გამოიარეს ბრძოლისა და მკაცრი განსაცდელის გზა, განსაკუთრებით ნათლად ესმით, თუ რაოდენ აქტუალურია კაცობრიობის წინაშე მდგომი ამოცანა — დავიცვათ მშვიდობის საქმე, ამოცანა, ასე დამაჯერებლად და ძალუმად რომ არის გამოთქმული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში.

და საქართველოს მშრომელები კელავ და კელავ უერთგებენ თავიანთ ხმას საბჭოთა ხალხის მრავალმილიონიან ხმას, საქვეყნოდ აღვითქვამენ, რომ ყოველდღიური თავდადებული შრომით განამტკიცებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას და თავდაცვისუნარიანობას პლანეტაზე მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის.

თავის ახლანდელ დღესასწაულს რესპუბლიკა ახალი შრომითი გამარჯვებებით ეგებება. ახორციელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების დადგენილებებს, საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყველგან, დღენიადაგ დაამკვიდრონ საქმიანი განწყობა, ამრავლონ თავიანთი ნელილი საერთო-სახალხო საქმეში. ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანისათვის, მთავარი ამოცანა, მთავარი მიზანია წარმატებით შეეასრულოთ მეთრამეტე ხუთწლედის დავალებები, ღირსეულად შევხვედეთ ლენინური პარტიის XXVII ყრილობას.

მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების 200 წლისთავის დღესასწაული შესანიშნავი, დიდებული პროლოგი იყო რუსეთის სფსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები საქართველოს სს რესპუბლიკაში, რომლებმაც, ისევე როგორც მანამდე რუსეთის ფედერაციაში გამართულმა საქართველოს სს რესპუბლიკის დღეებმა, კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ჩვენი კავშირის ურყეობა, ძმური თანადგომის ურღვეობა, ინტერნაციონალიზმის გამარჯვება.

ჩვენი ახლანდელი დღესასწაული უდავოდ ესალბუნება სოციალიზმის დიადი სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა გულს.

დაე, მარად გამარჯვებული ვიდოდეს მძლავრი, ბედნიერი და ურყევი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

დაე, მრავალგზიერ მტკიცდებოდეს ერთიანი და თანასწორი საბჭოთა ხალხების ძმობა.

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას— ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი)

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს საქართველოს მშრომელები და მათთან ერთად მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავენ მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავსა და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩვენი სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოებას.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მისალმებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მთავრობისადმი მხურვალედ მიულოცეს რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავი იუბილე და ლენინის ორდენით დაჯილდოება, შეაჯამეს საქართველოს ხალხთა ისტორიული გზის შედეგები, მაღალი შეფასება მისცეს მათს მიღწევებს.

ამ საზეიმო დღეს დიდ კმაყოფილებას მანიჭებს, შევასრულო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის დავალება, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, კომუნისტებსა და ყველა მშრომელს გულითადად მივულოცო იუბილე და სამშობლოს საპატიო ჯილდო, ვუსურვო ახალი დიდი წარმატებანი, ჯანმრთელობა და ბედნიერება საქართველოს თითოეულ ოჯახს, ყველა ხალხს.

ამ სურვილებთან ერთად ი. ვ. ანდროპოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელები კელავაც აქტიურად და ნაყოფიერად იმუშავებენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის, ამრავლებენ თავიანთ წვლილს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და კულტურულ პოტენციალში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულწრფელად გილოცავენ იუბილეს და ახალ წარმატებებს გისურვებენ სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტი და მოსკოვის სახალხო დეპუტატთა საბჭო, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის მშრომელები.

ძვირფასო ამხანაგებო!

გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებამ ახალი ეპოქა დაიწყო ქართველი ხალხის ისტორიაში. რუსეთისა და საქართველოს ერთიანობამ გაუძლო დროის გამოცდას და სრული ძალით გამოავლინა თავისი პროგრესული როლი. მასში აისახა კანონზომიერებანი და ტენდენციები, რომლებიც ახასიათებს სსრ კავშირის ბევრი ხალხის ბედს. თანამედროვეობის თვალსაზრისით უფრო მკაფიოდ წარმოგვიდგება წარსულის ამბები, უფრო ნათლად ჩანს ამა თუ იმ არჩევანის შედეგები და მნიშვნელობა. მთელი თავისი ახლანდელი დღით, თავისი აღმაფრენითა და აყვავებით საბჭოთა საქართველო დამაჯერებლად ადასტურებს წინაპართა დიად სიმართლეს, რომლებმაც მოახდინეს ერთადერთი სწორი, ისტორიულად საქირო არჩევანი რუს ხალხთან კავშირის სასარგებლოდ.

გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებამ უცხოელთა გამაჩანაგებელი შემოსევებით გაწამებულ ხალხს მისცა მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა, ხელი შეუწყო საქართველოს ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ქართველი ხალხის თავისთავადი კულტურის აღორძინებას. ამ ნაბიჯმა კეთილნაყოფიერი პირობები შექმნა ქართველი და რუსი ხალხების ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობისათვის, ამიერკავკასიაში იმ პროგრესული იდეების განხორციელებისათვის, რომლებიც აქ რუსეთის მოწინავე ადამიანებს მოჰქონდათ.

ცნობილია, რომ საქართველოს ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ ისტორიასთან. ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით საქართველოს მრავალეროვანი მუშათა კლასი ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის რევოლუციურ მასებთან ერთად თავდადებით იბრძოდა კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამ, ჩვენი პარტიის ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ ფართო გზა მისცეს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ პროგრესს. საბჭოთა ხანასთან არის დაკავშირებული რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის ისტორიის ყველაზე მკაფიო ფურცლები. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულმა საბჭოთა რუსეთმა, რომელიც ახორციელებდა ყოფილი ეროვნული განაპირა მხარეების დაჩქარებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პარტიის მიერ დასახულ კურსს, საკუთარი სიძნელეებისა და გაჭირვების მიუხედავად, დახმარების ხელი გაუწოდა მომძე ხალხებს. სსრ კავშირის შემადგენლობაში ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოს სახელმწიფოს შესვლამ გადამწყვეტი როლი შეასრულა რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, მის სულიერ პროგრესში. ისტორიულად მოკლე კადაში საქართველო გახდა მოწინავე სოციალისტური ინდუსტრიის, ინტენსიფიკაციისა, სსრ კავშირის ენერგეტიკული პროგრამის რეალიზაცია განუყრელად არის დაკავშირებული მატერიალური რესურსების მომჭირნე გამოყენებასთან. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნავთობს, რომლის მოპოვება სულ უფრო შორეულ რაიონებში წარმოებს და წლითიწლობით სულ უფრო ძვირადღირებული ხდება.

პოლიტბიუროს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ ყოველ შრომითს კოლექტივში განიხილონ ნავთობპროდუქტების დაზოგვის პრაქტიკული საკითხები, წარმართონ მუშათა, კოლმეურნეთა და მოსამსახურეთა მეცადინეობა საწვავ-საპოხი მასალების დაზოგვის რეზერვების შემდგომი გამოვლენისა და გამოყენების, მათი დანაკარგების მკვეთრი შემცირებისათვის, გააძლიერონ კონტროლი ნავთობპროდუქტების დასაზოგად მიმდინარე მთელი მუშაობის მსვლელობისადმი, ყოველნაირად დაუჭირონ მხარი და გაავრცელონ მოწინავე გამოცდილება, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებანი. დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებას შრომის ორგანიზაციისათვის, ყოველ სამუშაო ადგილზე ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური და რაციონალური გამოყენების პირობების შექმნისათვის. ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა უკიდურესად შესრულდეს ეფექტიანი სათბობდამზოგველი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნისა და წარმოებაში დანერგვის გეგმები, დაიხვეწოს, საწვავ-საპოხი მასალების ნორმირებისა და მოხმარების აღრიცხვის სისტემა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოისმინა და მოიწონა ამხანაგ დ. თ. უსტინოვის ინფორმაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების, თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის რიგგარეშე სხდომის შედეგებზე. განიხილეს აგრეთვე მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებისა და საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო-პოლიტიკური კურსის განხორციელების ზოგიერთი სხვა საკითხი.

ი. ვ. ანდროპოვის პასუხი

„ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ III საერთაშორისო კონგრესის მიმართვაზე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 21 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა კრემლში მიიღო „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ საერთაშორისო მოძრაობის თანათავმჯდომარეები პროფესორი ბ. ლაუნი (აშშ) და აკადემიკოსი ე. ი. ჩაზოვი (სსრ კავშირი), აგრეთვე მოძრაობის ვიცე-პრეზიდენტები დოქტორი დ. სორბოე (ნორვეგია) და პროფესორი ო. ვასკ-პეკერტი (ფინეთი).

მოძრაობის ხელმძღვანელებმა ვ. ვ. კუზნეცოვს გადასცეს სსრ კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოთა მეთაურებისადმი „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ III საერთაშორისო კონგრესის მიმართვის ტექსტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა 26 ოქტომბერს „ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის მებრძოლ მსოფლიოს ექიმთა“ მოძრაობის თანათავმჯდომარეებს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის პასუხი:

„დიდი ყურადღებით და ინტერესით გავეცანი თქვენი ავტორიტეტული ფორუმის მიერ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებისათვის გამოგზავნილ მმართველობის ბოლოდროინდელ მიმართვას, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გადმომცეს. სამწუხაროდ, გაცვეთილი ვიყავ და ვერ შეგხვდი პირადად მოსკოვში, მაგრამ ახლა მინდა გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება თქვენს მომართვასთან დაკავშირებით.

ჩვენ იგი აღვიქვით როგორც ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების მაღალჰუმანური მოწოდება. ეს ღრმად შეესატყვისება საბჭოთა ხელმძღვანელობის, მთელი ჩვენი ხალხის აზრებსა და გრძნობებს.

მოლიანად ვიზიარებ თქვენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ თუ ვინიცობაა ბირთვული ომი დაიწყო, მას გარდაუვალად მოჰყვება ეშმარიტად დამღუპველი შედეგები. თქვენ წარმოაჩენთ მკაცრ სიმართლეს, რომელიც ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რათა არ დაუშვან უსაშველო რამ.

ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თქვენი კონგრესის მუშაობაშიც და ამ კონგრესზე მიღებულ დოკუმენტებშიც ნათლად იგრძნობა, რომ მედიკოსთა საზოგადოებრიობას სულ უფრო ცხადად ესმის, თუ როგორ საჭიროა აქტიურად წინ აღუდგეთ ბირთვულ საფრთხეს. ეს ერთ-ერთ ბრძოლა, ბრძოლა ადამიანურ ცივილიზაციისა და ადამიანურ ეროვნებათა ბედისა. ჩვენ ეს ბრძოლა ბოლამდე ბოლამდე, ბოლამდე ბოლამდე, ბოლამდე ბოლამდე,

ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა

(დასასრული)

XXVI ყრილობის მიერ დასახული ლენინური კურსით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას უკვე მოაქვს დადებითი შედეგები. ამას მოწმობს 1983 წლის 9 თვის გეგმის შესრულების შედეგები. შესამჩნევად უმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მაჩვენებლები. სრულდება სამრეწველო პროდუქციის გამოშვების დავალებანი. უმჯობესდება რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა. საკვლევლოტაციოდ გადაეცა ძრავალი საწარმოო ობიექტი, საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულება. წარმატებით მთავრდება მოსავლის აღება და მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ საქართველო განვითარების დინამიკურობით, საერთო-საკავშირო სახალხო მეურნეობაში თავისი წვლილის ზრდის ტემპით წელითიწლობით იკავებს მოწინავე ადგილებს. ამგვარი ტენდენცია შენარჩუნებულია მიმდინარე ხუთწლედშიც.

საქართველოს კომუნისტური პარტია დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა, რათა მშრომელები დარაზმოს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში ჩამოყალიბებულ დებულებათა და მითითებათა შესრულებისათვის. შრომითს კოლექტივებში ძლიერდება სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის, ხელფასის ზრდასთან შედარებით შრომის ნაყოფიერების უპირატესი ზრდისათვის.

ჩვენი პარტია თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების საკითხებს განიხილავს ეროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხებთან კონტექსტით. ძრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკური, სოციალური და სახალხო-სამეურნეო სისტემაა. სწორედ ამიტომაც იღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტი ქვეყნის უკლებლივ ყველა რესპუბლიკისა და ოლქის ჰარმონიული განვითარებისათვის. ყურადღებას არ აკლებს მათში წამოჭრილ არც ერთ პრობლემას. ამის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ მიღებულ დადგენილებებს მთავარ კავკასიონის ქედში საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობისა და მეთორმეტე ხუთწლედსა და ორი ათას წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების შესახებ არა მარტო უდიდესი სახალხო-სამეურნეო, არამედ სოციალური მნიშვნელობაც აქვთ.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში უაღრესად იზრდება ძოწყიფებული პრობლემების გადაწყვეტისადმი შემოქმედებითი, ინიციატივიანი მიდგომის მნიშვნელობა. ამ მხრივ საქართველოს სს რესპუბლიკის მაგალითი მრავალმხრივ საგულისხმოა. რესპუბლიკა დღეს გვევლინება თავისებურ შემოქმედებითს ლაბორატორიად, სადაც ავლენენ და ცდიან საქმის გაღონლის ახალ ეფექტიან საშუალებებს, იქნება ეს მართვის სფერო, მეცნიერებისა და წარმოების კონტაქტები თუ შრომის სტიმულირება. მშრომელთა უფლებათა ფონაწილეობით თანამიმდევრულად ხორციელდება ყველგან და ყველაფერში წესრიგის დამყარების, საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის უფრო რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფის, პასუხისმგებლობისა და ორგანიზებულობის ამაღლების პოლიტიკა.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის, მისი ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს სოციალური და ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის მზარდ როლს. საქართველოს კომუნისტები, რომლებიც აქტიურად, შემოქმედებითად იყენებენ ქვეყანაში შექმნილ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილებასა და ახალ ფორმებს, უზრუნველყოფენ ორგანიზატორულ, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის მჭიდრო ერთიანობას, აძლიერებენ ინტერნაციონალურ აღზრდას, ამასთან ფართოდ იყენებენ პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა ცოდნასა და გამოცდილებას.

ერთი სიტყვით, ორგანიზატორულ, იდეურ-აღმზრდელობითსა და სამეურნეო მუშაობაში შეძენილი თქვენი გამოცდილება მეტად საყურადღებოა. და გვინდა მთელი სულითა და გულით გისურვოთ, რომ ეს გამოცდილება ნიადაგ მრავლდებოდეს და მდიდრდებოდეს საზოგადოებრივი განვითარების გართულებული ამოცანების შესაბამისად, ცხოვრების მოთხოვნების შესაბამისად.

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს სსრ მშრომელთა წარმატებანი განუყრელად არის დაკავშირებული მთელი საბჭოთა ხალხის მიღწევებთან. ჩვენი ქვეყნის ხალხების ერთსულოვან ოჯახში წარმატებით იზრდება ჩვენი სამშობლოს დედაქალაქიც — მოსკოვი. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით მოსკოველები წარმატებით შეხვდნენ პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. ისინი ძირითად მეცადინეობას ახმარენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი და სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. უზრუნველყოფილია ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981–1982 წლების გეგმის ვადამდე შესრულება. წარმატებით ხორციელდება მომდინარე წლის დავალებანიც.

მოსკოველები თქვენთან ერთად აღნიშნავენ გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს. ამ მოვლენის გამო მოსკოვში ბოლშაია გრუზინსკაიას ქუჩაზე დიდი რუსთაველის ძეგლის მახლობლად აიგო და გაიხსნა მონუმენტი „სამარხოდამო მეგობრობა“, რომელიც მიეძღვნა ქართველი და რუსი ხალხების ისტორიულ ძმობას.

„რა ბედნიერებაა, რომ აოსებობს ასეთი კავშირი გულთა შორის!“ — გალაკტიონ ტაბიძის ეს სიტყვები ამოკვეთილია მონუმენტზე ლერმონტოვისა და ფრანსისნი და ჩიქოვანის, იმ სხვა პოეტების სიტყვების გვერდით, რომლებმაც ხოტბა შეასხეს ჩვენს ერთიანობას.

მოსკოვს საქართველოსთან მტკიცე ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა აკავშირებს. ბევრი საწარმოს კოლექტივებს დადებული აქვთ შრომითი თანამეგობრობის ხელშეკრულებანი. მოსკოველები მონაწილეობენ რესპუბლიკაში ელექტროსადგურების, საწარმოებისა, თბილისის მეტროპოლიტენის დაპროექტებასა და მშენებლობაში, ამზადებენ კადრებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის.

ჩვენი ხალხების ურღვევი მეგობრობის, ერთიანობის მკაფიო დადასტურება გახდა რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს სს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს მიეძღვნა. ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრმა მოსკოველმა მოღვაწემ წარმატებით წარმოადგინა რუსეთის ფედერაციის კულტურა ქართულ მიწა-წყალზე. რუსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების დროს,

ორი ხალხის — რუსი და ქართველი ხალხების შრომითა და ერთად დაღვრილი სისხლით შედუღაბებული კავშირი განსახილველს ყოველივე საუკეთესოს, რაც მოსდგამს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახს. მათი მეგობრობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება ჩვენი უძვირფასესი მონაპოვარი, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია.

და გასაკვირი არ არის, რომ სოციალიზმის მტრები ასე გააფთრებით ცდილობენ ზიანი მიაყენონ ჩვენი ქვეყნის ხალხების მეგობრობას, შეარყიონ საბჭოთა ადამიანების სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ინტერნაციონალიზმის სულისკვეთება. ამ მიზნებს ემსახურება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იმპერიალისტური პროპაგანდის ფიერ გაჩაღებული უპრეცედენტო იდეურ-ფსიქოლოგიური ომი. ამასთან შეგნებულად ამახინჯებენ ან უგულებელყოფენ ისტორიისა და თანამედროვეობის თვალსაჩინო, და ფართოდ ცნობილ ფაქტებს, იმედს ამყარებენ ობივატელურ შეგნებაზე, აღმზრდელობითს მუშაობაში დაშვებულ შეცდომებზე.

იმპერიალიზმი და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმი, ამწვავებს ბრძოლას არა მარტო იდეოლოგიის სფეროში. იგი ამწვავებს მთლიანად საერთაშორისო ვითარებას, ახორციელებს აგრესიისა და ყაჩაღობის პოლიტიკას, აფართოებს თავის შეიარაღებულ ყოფნას ყველგან, რათა ჩაერიოს იმ ქვეყნების საქმეებში, რომლებიც უარყოფენ ვაშინგტონის დიქტატს. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა თავხედური შეიარაღებული აგრესია პატარა სუვერენული სახელმწიფოს გრენადის წინააღმდეგ, გამოუცხადებელი ომი გააჩაღა ნიკარაგუისა და სალვადორის პატრიოტული ძალების წინააღმდეგ, შეიარაღებული ძალები ჰყავს ლიბანში, სადაც იარაღის ძალით ცდილობს თავს მოახვიოს ლიბანელებს მისთვის სასურველი წესები. იგი სხვა მრავალ დანაშაულსაც სჩადის მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ახორციელებს მილიტარისტულ კაცთმოძულე პოლიტიკას, რომელიც ბირთვული კატასტროფით ემუქრება მსოფლიოს. ვაშინგტონის მმართველი წრეები, რომლებიც ცდილობენ, რადაც უნდა დაუჯდეთ მოიპოვონ უპირატესობა საბჭოთა კავშირთან შედარებით, დასავლეთ ევროპას თავს მოახვიონ თავიანთი „პერშინგები“ და ფრთოსანი რაკეტები, სიკვლუსა და ფაქტების დამახინჯების მმართავენ. ბოლო რამდენიმე კვირაა მონდომებით უწევენ რეკლამას, წარმოადგენენ ამერიკის მხარის მოჩვენებითს მოქმედებას, რომელსაც დაეინებით ამტკიცებენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და მისი დაახლოებული პირნი, რეკლამას უწევენ მოჩვენებითს დათმობებს, და ეს ყველფაერი ერთ მიზნის ისახავს: საკუთარი უახლესი შეიარაღების კაძღიერებით ჩვენს ქვეყანას წაართვან შესაბამისი თავდაცვითი პოტენციალის კანონიერი უფლება, გვაიძულონ ცალმხრივად განიარაღდეთ.

უფრო მეტიც, ამერიკის შეერთებული შტატების თავმრობა, რომელიც აქტიურად ემზადება დასავლეთ ევროპაში პირველი დარტყმის იარაღის განლაგებისათვის, აქცევს რა მის ბაღებს თავის ძვალებად, შეპარობილია ის ზრახვით, რომ ახალი გიგანტური სარბიელი შეუქმნას ბირთვულ მეტოქეობას კოსმოსში. ესეც იმავე მიზნით — არსებული სამხედრო-სტრატეგიული პარიტეტის თავის სასარგებლოდ დარღვევის მიზნით ხდება.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესიული ავანტიურისტული მოქმედება მთელ მსოფლიოში დიდ გულისწყრომასა და პროტესტს იწვევს. სხვადასხვა ქვეყანაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს ვაშინგტონის აგრესიისა და უკანონობის შეწყვეტას, ილაშქრებს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და მისი ატომელი მოკავშირეების მიერ დაძაბულობისა და სამხედრო ისტერიის გამწვავების წინააღმდეგ, ევროპაში ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ, მტკიცედ გამოთქვამს თავის მისწრაფებას მშვიდობისადმი, ხალხთა უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლისადმი.

კაცობრიობისათვის, მთელი მსოფლიოსათვის ამ მშფოთვარე დღეებში მოსკოვიდან ჩვენი პარტიისაგან, ჩვენი სახელმწიფოსაგან გაისმის ნამდვილად კონსტრუქციული, ბირთვული უგუნურების აღმკვეთი ინიციატივები. საბჭოთა მხარე აყენებს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების პრობლემათა გადაჭრის მკაფიო პროგრამას, ავლენს პოლიტიკურ ნებასა და მზადყოფნას — მიაღწიოს მორიგებას მხარეთა თანასწორობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საფუძველზე. კონკრეტული მოქმედების პროგრამა კაცობრიობისადმი შემქნილი საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხთა მეცადინეობის გაერთიანების მძლავრი სტიმული გახდა იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის განცხადება, მისი პასუხი „პრავდის“ კითხვებზე, რომლებმაც მსოფლიოში უფართოესი რეზონანსი გამოიწვია.

საბჭოთა კავშირი, როგორც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ამ უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტებში, მასობრივი მოსსობის იარაღის წარმოებასა და დაგროვებაში შეჯიბრების პრინციპული წინააღმდეგია. ამასთან ჩვენი ქვეყნის კეთილი ნება, მისი სურვილი — პატიოსნად ეძებოს ურთიერთმისაღები, ორივე მხარის კანონიერი ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილებანი, არავინ არ უნდა მიიჩნიოს ჩვენი სისუსტის ნიშნად. არსებული სამხედრო-სტრატეგიული ბალანსის დარღვევის ყველა ცდას საბჭოთა კავშირის შესაბამისი პასუხი მოჰყვება და ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იქნება.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ხალხი ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ცხადი და გასაგებია მისი უპირველესი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა: აამაღლოს სიფხიზლე, თავისი შრომით ამრავლოს სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, განამტკიცოს სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა და ძმობა, ჩვენი ხალხის ერთიანობა, მჭიდრო შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ ვუსურვო საქართველოს სს რესპუბლიკის მშრომელებს ახალი წარმატებანი პარტიის წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის, საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავების, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ახალი აომავლობისათვის, კომუნისტური მშენებლობის დიდ ამოცანათა გადაწყვეტაში რესპუბლიკის წვლილის გამრავლებისათვის ბრძოლაში.

(ამხანაგ ვ. ვ. გრიშინის სიტყვა დამსწრეთ მოისმინეს დიდი ყურადღებით. დარბაზში არაერთგზის გაისმოდა მქუხარე ტაში).

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

ჩვენო დიდად პატივცემულო სტუმრებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა საქართველოს მშრომელებო!

დღეს ისტორიის კალენდარზე ღირსშესანიშნავი თარიღია: რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტის — რუსეთსა და საქართველოს შორის გეორგიევსკის ხელშეკრულების დადების 200 წლისთავი.

ეს დიდი და სასახარულო ღღესასწაულია. ნათელი ღღესასწაული, განსაკუთრებული ღღესასწაული. დღევანდელი დღეც უჩვეულოდ დაიწყო: საღღესასწაულოდ, განსაკუთრებულად — პრეზიდიუმში გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისასალმებელი წერილით.

მთელ ჩვენს ხალხს ვულის სიღრმეში ჩასწვდა მსურვალე და გულითადი მილოცვები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებისადმი, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი ღირსშესანიშნავ იუბილესთან — მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავთან დაკავშირებით, ხელშეკრულებისა, რომელმაც საუუდამოდ დაკავშირა საქართველოს ბედი რუსეთთან.

ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტში ამომწურავად არის გაშუქებული გეორგიევსკის ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა, მაღალი შეფასება აქვს მიცემული მთელ ჩვენს ხალხს, საქართველოს ბოლშევიკებს, რუსპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიდ რუს ხალხთან მჭიდრო ერთიანობით, ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, სოციალისტური წყობილების გამარჯვებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა დაცვისათვის, მსოფლიოში პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ამ მისასალმებელ წერილში აღნიშნულია, თუ რა როლი შეასრულეს რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

ახლა არ მომყავს მისალმების სრული ტექსტი, არა მარტო იმიტომ, რომ იგი გუშინ საღამოს გადაიცა ტელევიზიითა და რადიოთი, დღეს კი გამოქვეყნებულია პრესაში, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ თითოეული მისი ფრაზა და თითოეული სიტყვა უკვე ზეპირად იცის მთელმა საქართველომ.

დღევანდელი დღე დაიწყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

ეს დოკუმენტი აგრეთვე საყოველთაო ყუთნილება გახდა. მაგრამ ერთხელ კიდევ მივმართოთ მას. მასში ნათქვამია: **„სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში საქართველოს მშრომელთა მიერ მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა დაჯილდოდეს ლენინის ორდენით“.**

ეს სასახარულო ცნობაც ჯერ კიდევ გუშინ საღამოს მოვიდა საქართველოში. იგი ცნობილი გახდა მთელ ქვეყანაში. ამ ცნობამ ფეხზე დააყენა მთელი ჩვენი ხალხი, აღაფრთოვანა თითოეული ადამიანი, სიხარულით აღავსო ადამიანთა გული, სწორედ ამიტომაც იყო გუშინ საღამოსვე გამოფენილი ამდენი ხალხი ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში. გამოფიცხლება იგრძნობოდა ყველგან. ამ ცნობით, ამ სიხარულით ცხოვრობს ახლა მთელი რესპუბლიკა.

საბჭოთა საქართველო დაჯილდოდეს მესამე ლენინის ორდენით. მაშასადამე ახლა, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებთან ერთად, რესპუბლიკის დროშაზე ხუთი ორდენი იკიაფებს.

ორი დოკუმენტი: მისასალმებელი წერილი და ბრძანებულება დაჯილდოების შესახებ. ამით აღინიშნა ახალი ნიშანსვეტები საბჭოთა საქართველოს ცხოვრებაში. დაიწყო რუსეთთან საქართველოს ერთიანობის, დამოყვრების ახალი საუკუნე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება უდიდესი დამოაზმველი ძალის დოკუმენტებია. ისინი შეიცავენ არა მარტო გულთბილი მილოცვის სიტყვებს, არა მარტო კეთილ, გულითად სურვილებს, არამედ გამოხატავენ კიდევ მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული რესპუბლიკის მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებისათვის, განამტკიცებენ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, აამაღლებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, დაუცხრომლად განამტკიცებენ ჩვენი დიადი საშობლოს თავდაცვითს ძალიერებას.

ყოველივე ეს რესპუბლიკის კომუნისტებს, მშრომელებს, თითოეულ ჩვენგანს ცალ-ცალკე და ყველას ერთად ახალ ძალებსა და ახალ ენერგიას გვმატებს, სამტკიცეს გვძენს დავძლიოთ ახალი მიჯნები სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მივაღწიოთ ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

და ამ სახალხო ზეიმის დღეს ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად გულწრფელი, უმხურვალესი მადლიერების გრძნობებს ვამოვხატავთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვისადმი.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი დიდი, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური დღესასწაულია. საქართველოს მშროშელებთან ერთად მას აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი. დღევანდელ სიხარულს ჩვენთან ერთად იზიარებენ ჩვენს ზეიმზე ჩამოსული ძვირფასი სტუმრები. ასეთია საბჭოთა ადამიანების ბუნება, ასეთია ჩვენი ხასიათი: სიხარულის წუთებში, ისევე როგორც მკაცრი განსაცდელის ჟამს, ჩვენ მუდამ ერთადა, ერთმანეთის გვერდით ვართ, გვინდა დღენიადაგ ვგრძნობდეთ მეგობრის ხელს, პარტიელი, თანამოსაქმე ამხანაგის მხარს.

ამ სადღესასწაულო დღეს მისალმების პირველ სიტყვებს ვეუბნებით დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლებს — ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქის — გმირ ქალაქ მოსკოვის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვიქტორ ვასილის ძე გრიშინის მეთაურობით, რუსეთის ფედერაციის დელეგაციას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხანაგ ვლადიმერის ძე ანდროპოვისადმი.



გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავი დიდი, ჭეშმარიტად ინტერნაციონალური დღესასწაულია. საქართველოს მშროშელებთან ერთად მას აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი. დღევანდელ სიხარულს ჩვენთან ერთად იზიარებენ ჩვენს ზეიმზე ჩამოსული ძვირფასი სტუმრები. ასეთია საბჭოთა ადამიანების ბუნება, ასეთია ჩვენი ხასიათი: სიხარულის წუთებში, ისევე როგორც მკაცრი განსაცდელის ჟამს, ჩვენ მუდამ ერთადა, ერთმანეთის გვერდით ვართ, გვინდა დღენიადაგ ვგრძნობდეთ მეგობრის ხელს, პარტიელი, თანამოსაქმე ამხანაგის მხარს.

ამ სადღესასწაულო დღეს მისალმების პირველ სიტყვებს ვეუბნებით დიდი რუსი ხალხის წარმომადგენლებს — ჩვენი დიადი სამშობლოს დედაქალაქის — გმირ ქალაქ მოსკოვის დელეგაციას სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვიქტორ ვასილის ძე გრიშინის მეთაურობით, რუსეთის ფედერაციის დელეგაციას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხანაგ ვლადიმერის ძე ანდროპოვისადმი.

მთელი ჩვენს ხალხს ვულის სიღრმეში ჩასწვდა მსურვალე და გულითადი მილოცვები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუშებისადმი, კოლმეურნეების, ინტელიგენციის, ყველა მშრომელისადმი ღირსშესანიშნავ იუბილესთან — მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავთან დაკავშირებით, ხელშეკრულებისა, რომელმაც საუუდამოდ დაკავშირა საქართველოს ბედი რუსეთთან.

ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტში ამომწურავადა არის გაშუქებული გეორგიევსკის ხელშეკრულების ისტორიული მნიშვნელობა, მაღალი შეფასება აქვს მიცემული მთელ ჩვენს ხალხს, საქართველოს ბოლშევიკებს, რუსპუბლიკის ყველა მშრომელს, რომლებმაც სსრ კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში, დიდ რუს ხალხთან ერთიანობით, ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეული წვლილი შეიტანეს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის, სოციალისტური წყობილების გამარჯვებისათვის, დიდი სამამულო ომის წლებში ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა დაცვისათვის, მსოფლიოში პირველი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში.

ამ მისასალმებელ წერილში აღნიშნულია, თუ რა როლი შეასრულეს რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური საკითხების გადაწყვეტაში.

ახლა არ მომყავს მისალმების სრული ტექსტი, არა მარტო იმიტომ, რომ იგი გუშინ საღამოს გადაიცა ტელევიზიითა და რადიოთი, დღეს კი გამოქვეყნებულია პრესაში, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ თითოეული მისი ფრაზა და თითოეული სიტყვა უკვე ზეპირად იცის მთელმა საქართველომ.

ეს ისტორიული დოკუმენტი ამომწურავად ასახავს ჩვენ ხალხებს, ჩვენ ეროვნებათა ურღვევ ერთიანობას, ჩვენ ეროვნებათა ურღვევ ძმობას, ჩვენ ეროვნებათა ურღვევ ინტერნაციონალიზმს. ეს ისტორიული დოკუმენტი ასახავს

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა

რელად ვიაროთ ერთი გზით“. კარგი სიტყვებია, უკეთ კერ იტყვი!

ილიასა და აკაკის გვერდით არიან მათი თანამოაზრენი: ნიკო ნიკოლაძე, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი წერეთელი — ჩვენი ხალხის ნამდვილი განმანათლებლები, ერის სიამაყე.

თქვენ ყველანი, ძვირფასო მეგობრებო, შეხვედით დღეს ამ სახელგანთქმულ გზაზე დასასვენებლად ჩამომხდარ საქართველოდან წარსული პოეტს, ფილოსოფოსსა და დიპლომატს სულხან-საბა ორბელიანს — ვახტანგ VI-ის აღმზრდელსა და თანამებრძოლს, რომელიც მასთან ერთად გაემგზავრა მოსკოვს. შეხვდებით გრიგოლ ორბელიანსაც—გამოჩენილ ქართველ პოეტს, რუსეთის მხედართმთავარსა და სახელმწიფო მოღვაწეს, საქართველოს სამხედრო გზის მშენებლობის ინიციატორსა და ხელმძღვანელს. ალექსანდრე პუშკინსაც, რომელსაც თითქოს ახლაც სიამოვნებას აგვრის ქართული სიმღერები. მახეილ ლერმონტოვსაც, რომელიც შეჩერებულა მის მიერ „აღწერილ ჯვართან — „იქ სად ერთვიან და გაავქს | გრგვინვა, ორთა მდინარეთ ატაგვსა და მტკვარს“. მაქსიმ გორკისაც, რომელიც მხარზე ბოხჩამოგდებული ჯოხით ალეში მაბიჯებს თბილისისაკენ, სადაც უნდა დაწყებულიყო მისი ლიტერატურული ბიოგრაფია. ვლადიმერ მაიაკოვსკისაც, მაღლა თოვლიან მწვერვალებთან რომ ასულა, რათა უკეთ დაინახოს როგორ გაიცინებულა ბოლშევიკების დროშების ქვეშ თავისუფალი საქართველო.

ხალხის ნაკადი არ წყდება დღეს წარსული დიდებით მოსილ გზაზე, რომლითაც ახალი ცხოვრება მოვიდა.

წარსული უყალიბებს ადამიანს ისტორიულ შეგნებას, უფერგავს ისტორიულ აზროვნებას, მაღალ მოქალაქეობრიობას, ზრდის მგზნებარე პატრიოტებსა და თანამიმდევრულ ინტერნაციონალისტებს. სწორედ ამიტომ უნდა იცოდეს თითოეულმა წარსული, ესმოდეს მისი მნიშვნელობა, პატივისცემით ეკიდებოდეს მას, სწორედ ამიტომ უნდა ვაზიაროთ თანაბედროვენი წარსულ საუკუნეთა ღიდებას.

უწარსულოდ არ არის აწმყო. და დღეს მოსკოვიდან მიღებულ მისასალმებელ წერილში ვკითხულობთ: „გეორგიევსკის ხელშეკრულების დადება ეახდა დიდი პროგრესული მოვლენა თავისუფლებისმოყვარე და მაღაი ქართველი ხალხის ისტორიაში, ისსნა იგი ფიზიკური მოსპობის საფრთხისაგან, სასიკეთო გავლენა მოახდინა მის ეროვნულ აღორძინებასა და ეკონომიკის განვითარებაზე. ხელშეკრულებამ დაამკვიდრა ქართველი და რუსი ხალხების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირურთიერთობა, მათი მისწრაფება მეგობრობისა და თანამშრომლობისადმი“.

ასე ამყარებს დროთა კავშირს და განაგრძობს ცხოვრებას აწმყოში წარსული.

აწმყო, თითოეული ჩვენგანისათვის იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სწორედ დღევანდელი დღის სიმაღლიდან, რომელიც გასული 200 წლის მწვერვალად იქცა, თვალს ვავლებთ განვლილ გზას. დიდი და სახელოვანია ეს გზა!

ეს ორი საუკუნე მოიცავს იმ 62 წელსაც, მას შემდეგ რომ გავიდა, რაც 1921 წლის თებერვალში თბილისის თავზე აფრიალდა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, რის შესახებაც სერგო ორჯონიკიძემ მოსკოვში, კრემლში — ლენინსა და სტალინს დეპეშა გაუგზავნა, სოლო პასუხად ვ. ი. ლენინმა გამოგზავნა წერილი თხოვნით, ვადაეცით ქართველი კომუნისტებისათვის და სპეციალურად საქართველოს რევოლუციური კომიტეტის ყველა ნევრისათვის მხურვალე სალამი საბჭოთა საქართველოსადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ისტორია განუყოფლად არის დაკავშირებული რუსეთის რევოლუციურ ისტორიასთან. ვ. ი. ლენინის მეთაურობით ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელები ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის რევოლუციურ მასებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ მეფის თავთავსრობელობის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის. ამ ბრძოლაში საქართველოს ბოლშევიკებმა გვიჩვენეს მაღალი კლასობრივი შეგნების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პარტიის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოს ყველა ერი და ეროვნება იხსნა ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან, უზრუნველყო მათი ნამდვილი თავისუფლება და სოციალური პროგრესი.

ეს ორი საუკუნე მოიცავს თითქმის 12 წელსაც, რომლებიც გავიდა 1972 წლის თებერვალიდან, როცა მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ. ამ დადგენილებამ დასაბამი მისცა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შვიდ სხვა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, მათ შორის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამ დღეებში მიღებულ დადგენილებას მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის განვითარების დაჩქარების შესახებ. ასეთი ყურადღება და მზრუნველობა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ეხმარება გააძლიეროს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალი, დაამკვიდროს პოზიტიური პროცესები ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, უფრო გადაჭრით იბრძოლოს არსებული ნაკლოვანებების

წინააღმდეგ, განამტკიცოს დისციპლინა ყველა დონეზე, ყველა რგოლში, უფრო წარმატებით გადაწყვიტოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანები.

ეს ორი საუკუნე მოიცავს პოლო ნელსაც. ეს არის ნელიწადი, გასული სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ, პლენუმისა, რომელმაც ჩაიარა ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ ნაკლოვანებათა ობიექტური კრიტიკის ნიშნით, დასახა მტკიცე და ურყევი კურსი — მუშაობის დაკისრებული უბნისათვის კადრების პასუხისმგებლობის ამაღლების, პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის ყოველმხრივი განმტკიცების კურსი.

ჩვენ ვდღესასწაულობთ რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს, ვინაიდან ამ ხელშეკრულებამ დიდად განაპირობა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დღევანდელი მიღწევები სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ დარგებში.

ქართველი ერის ისტორიულ სვე-ბედში გეორგიევსკის ტრაქტატის მნიშვნელობა, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ეს ეგორრული ხელშეკრულება მოასწავებდა საქართველოს ისტორიის იმ ხანგრძლივი პერიოდის დასასრულს, როცა ჩვენი ხალხის მთელი ძალები ძირითადად ხმარდებოდა ეროვნული არსებობის შენარჩუნებას, ურიცხვი მტრის ურდოების ბარბაროსულ შემოსევათაგან თავდაცვას, მოსწავებდა ახალი პერიოდის დადგომას — რუს ერთან და რუსეთის სახელმწიფოს სხვა ხალხებთან ერთად მსოფლიო-ისტორიული რევოლუციური შემოქმედების ასპარეზზე გასვლას.

სწორედ ეს არის ტრაქტატის მთავარი სოციალური დედააზრი, მისი მთავარი პროგრესული მნიშვნელობა. ტრაქტატის ხელმოწერამ შექმნა პირობები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ჩვენი ხალხის რევოლუციური სულისკვეთების, ერის მთელი ისტორიით შობილი სულისკვეთების განვითარებას, წარმართეს საქართველოს მშრომელები ერთადერთი სწორი გზით — აზიარეს სრულიად რუსეთის ინმამთავრისუფლებელ მოძრაობას, რომელსაც მოჰყვა დიდი ოქტომბერი, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, ისეთი კავშირის შექმნა, რომელშიც ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ისევე როგორც სხვა საბჭოთა ხალხებმა, პოვა თავისი სახელმწიფოებრიობა, ააშენა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ხალხებთან ერთად სოციალური სამართლიანობის საზოგადოება, ერთი ადამიანის მიერ მეორის ექსპლოატაციისაგან, კლასობრივი და ეროვნული ანტაგონიზმისაგან თავისუფალი საზოგადოება.

საქართველოს სს რესპუბლიკის წარმატებანი, როგორც მისასალმებელ წერილშია ნათქვამი, მკაფიოდ და ფართოდ წარმოაჩენენ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო წყობილების, სოციალისტური ცხოვრების წესის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის უპირატესობებს.

გეორგიევსკის ხელშეკრულების დადებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის. იმის მეოხებით, რომ მხარეში მშვიდობამ დაისადგურა და ეოხერხდა მეტი ნილი ისტორიული პროვინციების გაერთიანება, შეიქმნა პირობები საქართველოს საწარმოო ძალების ზრდისათვის, რამაც მაშ შესაძლებლობა მისცა დასდგომოდა იმ დროისათვის პროგრესული კაპიტალისტური განვითარების გზას, ამან კი, თავის მხრივ, შეაჩქარა სოციალისტური რევოლუციის სოციალური და ეკონომიკური წანაძღვრები.

განსაკუთრებით დიდი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის ეკონომიკაში საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე. მოვიყვან სულ რამდენიმე ციფრს. 60 წლის განმავლობაში მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა გაიზარდა 304-ჯერ, სოფლის მეურნეობისა — 13,5-ჯერ, კაპიტალური დაბანდების მოცულობა გადიდდა 303-ჯერ, საქონელბრუნვა — 35-ჯერ და მეტად. გამუდმებით იზრდება აქართველოს წვლილი ქვეყნის საერთო დოვლათში, მტკიცდება და ფართოვდება სარესპუბლიკათშორისო ეკონომიკური ურთიერთობა. საქართველოში გამომუშავებული პროდუქცია ხმარდება სხვა რესპუბლიკების ეკონომიკის 82 დარგის საჭიროებებს. ამავე დროს საქართველოში გამოიყენება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საუალეო მეურნეობის 100-ზე მეტი დარგის პროდუქცია.

მოსკოვიდან მიღებულ მისასალმებელ წერილში აღნიშნულია, რომ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკამ, რომელიც ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, მაღალ დონეს მიაღწია, ნათქვამია, რომ დინამიკურად ვითარდება მისი მრეწველობა, რომ ამჟამად მარტო ერთ დღეში გამოდის 10-ჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე მთელი 1921 წლის განმავლობაში, და რომ საბჭოთა საქართველოს — მრავალდარგოვანი მექანიზებული სოფლის მეურნეობის რესპუბლიკას — წამყვანი ადგილი უკავია ქვეყანაში ჩაის, ციტრუსის, ყურძნის წარმოების მხრივ.

მუდმივი და სულ უფრო მზარდი ყურადღება ექცევა ჩვენში აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, მათი სახალხო-სამეურნეო პოტენციალის ზრდის ტემპის დაჩქარებას, საწარმოო ძალების დინამიკურ, შეწონასწორებულ გაძლიერებას, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

თვისებრივად ახალი ეტრები მოხდა უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე. ამ დროის განმავლობაში რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალი გაორკეცდა, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება გადიდდა ერთახევარჯერ, თითქმის ერთიორად გაიზარდა ათვისებული კაპიტალური დაბანდების მოცულობა.

ჩვენ უზენაეს შეფასებად ვრაცხთ მისალმების სიტყვებს, სადაც ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, შრომითი კოლექტივები აქტიურ მუშაობას ეწევიან საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის, სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის, წარმოებასთან მეცნიერების ინტეგრაციისათვის, რომ ფართო მასშტაბით ხორციელდება კაპიტალური მშენებლობა, განუხრელად წყდება სოციალური საკითხები.

შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რომ რესპუბლიკაში შობილი ექსპერიმენტები სულ უფრო ჭეტ აღიარებას პოულობს ქვეყანაში.

ვადამდე შესრულდა მეათე ხუთწლედის დავალებები. ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაღალ მაჩვენებლებს მივაღწიეთ მეთერთმეტე ხუთწლედის ორ წელიწადსა და მისი შუაგული წლის ცხრა თვეში.

ახალი შრომითი გამარჯვებებია მოპოვებული გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. გადიდდა ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წილი. წლის დამდეგიდან გეგმის გადამეტებით გამოშვებულია თითქმის 180 მილიონი მანეთის მრეწველობის პროდუქცია.

დღეს საზეიმოდ ეღერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმების სიტყვები: საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია ვეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავს აღნიშნავენ დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით დაასრულონ 1983 წელი, უზრუნველყონ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულება, ხორცი შეასხან პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ამასთანავე ესოდენ ზტკიცე რწმენა ბევრს ავალებს საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს. ამოცანა ის არის, რომ შეინარჩუნოთ ახლანდელი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობა, დავამკვიდროთ ყოველივე მოწეული, აღმოვფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი და რესპუბლიკის ცხოვრების კიდევ ერთ ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას — საქართველოსათვის მესამე ლენინის ორდენის გადაცემას,—შევხვდეთ ახალი შრომითი გამარჯვებები, ახალი საწარმოო წარმატებებით, კიდევ უფრო უკეთესი, უფრო მაღალი მაჩვენებლებით ხელდამშვენებულნი.

ცნობილი მოწოდებისამებრ, ჩვენ წარსულისაგან უნდა ავიღოთ ცეცხლი, და არა ღვეფფი.

ავიღოთ წარსულისაგან ცეცხლი და არა ღვეფფი — ეს ნიშნავს ინტენსიურ ძებნას, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურ ეკონომიკურ ზრდას, ეფექტურ

სამარადჟამოდ ერთად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომა

ორი საუკუნის წინათ საქართველომ თავისი ბედი რუსეთს დაუკავშირა. ამ არჩევანის მნიშვნელობა, არსი, მისი პროგრესული შედეგები მთელი სისრულით წარმოჩნდა დღეს, რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საყოველთაო-სახალხო ზეიმის დღეებში.

ახლანდელ დღესასწაულს აცილებენ სამშობლოს უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის ნათელი, რომელიც რესპუბლიკას მიენიჭა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის და რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის აღსანიშნავად.

საქართველოს სს რესპუბლიკის დრამაზე აკაფეფული ეს მეხუთე ჯილდო, რომელიც აგვირგვინებს რესპუბლიკის მამაცურ შრომას, საქართველოს მშრომელებს შემოქმედებითი ძალისხმევის შემდგომი გამრავლების სტიმულს აძლევს. დღითი დღე იზრდება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა რეალიზაციისათვის მიმდინარე აღმშენებლობითი მუშაობის რიტმი. ამ მუშაობის მთავარ მიმართულებას განსაზღვრავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების მოთხოვნები, დებულებები და დასკვნები, რომლებიც მოცემულია ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში.

ჩვენ ლენინური მეგობრობითა ვართ ძლიერნი. — ამ აზრით იყო გამსჭვალული თბილისში 29 ოქტომბერს გამართული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა რესპუბლიკის

ამხანაგ ქ. მ. ბაგირაოვის გამოსვლა

(დასასრული)

პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროს მჩქეფარე და მრავალმხრივ მოღვაწეობას, ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. ასე იყო სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე, ასეა და ასეც იქნება ყოველთვის.

„განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა, — თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, —აუცილებლად უნდა შეიცავდეს მოფიქრებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ ეროვნულ პოლიტიკას. მას საფუძვლად უდევს ლენინის მიერ ნაანდერძევი პრინციპები: ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა, მათი თავისუფალი განვითარება ძმური კავშირის ფარგლებში და მათი დაახლოების განუხრელი კურსი“. ამ დიდშინაარსიანი სიტყვებით გამოიხატება პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის დაუცხრომელი ზრუნვა თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის, თითოეული მშრომელი ხალხის აყვავებისათვის, ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სამშობლოს მონოლითური ერთიანობისათვის.

ლენინურმა პარტიამ, ჩვენმა დიადმა ქვეყანამ პრაქტიკული ინტერნაციონალიზმის ნამდვილად უნიკალური გამოცდილება შეიძინეს. იგი გვასწავლის უანგარობას მეგობრობაში და თავდადებას დახმარებაში, ერთგულებას განსაცდელის ჟამს და გაზიარებულ სიხარულს გამარჯვებებში. ერთი სიტყვით, იგი გვასწავლის ძმობას, რომელიც ღვიძლ ნათესაობაზე უფრო ძლიერია. და დღევანდელი ზეიმი ახალი ძალით ადასტურებს დიდ და ნათელ ჭეშმარიტებას: სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების, თითოეული ჩვენი ხალხის ბედნიერებისა და კეთილდღეობის წყაროა.

დაე, იმარჯვებდეს და მუდამ ყვაოდეს ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირი, მშვიდობისა და პროგრესის ბურჯი!

გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას დიდი რუსი ხალხის მეთაურობით!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!

დიდება ლენინის პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

(მჭუხარე ტაში).

ამხანაგ კ. ს. დემირჩიანის გამოსვლა

(სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი)

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

დღეს მოძმე ქართველი ხალხი დიდი აღფრთოვანებით აღნიშნავს თავისის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოვლენის — რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრული ვეობრეთვლის ხელშეკრულების დადების 200 წლის. საბედნიერო იუბილეს.

საყოველთაო-სახალხო ზეიმს, მეგობრობისა და ძმობის დიდ და ნათელ დღესასწაულს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ამაღლებულობას ანიჭებს რესპუბლიკის დაჯილდოება შესამე ლენინის ორდენით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს გულთბილი და გულითადი მილოცვა, რომელშიც აღნიშნულია ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ უაღრესად მნიშვნელოვანი აქტის ისტორიული როლი, მაღალი შეფასება აქვს მიცემული რესპუბლიკის მიღწევებს სამეფურნეო და კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა საქართველოს წვლილს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მატერიალური და სულიერი სიმდიდრის გამრავლებაში.

ძვირფასო მეგობრებო, ნება მომბეძეთ, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, სომხეთის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელების, მთელი ხალხის სახელით სულითა და გულით მოგილოცოთ თქვენ, მოძმე საქართველოს ყველა მშრომელს, ხალხს დღესასწაული და სამშობლოს მაღალი ჯილდო.

ჩვენ, თქვენმა უახლოესმა მეზობლებმა და ძმებმა, კარგად ვიცით, რომ დღევანდელი დღესასწაული კარგა ხანია დაიწყო, მან მთელი რესპუბლიკა მოიცვა და გახდა ლენინური კომუნისტური პარტიის გარშემო ქართველი ხალხის, საქართველოს ყველა მშრომელის მჭიდრო შეკავშირების, მეგობრობისა და ძმობის მაღალი იდეალებისადმი მისი ერთგულების, დიდი რუსი ხალხისადმი, ყველა საბჭოთა ხალხისადმი სიყვარულისა და პატივისცემის მკაფიო დემონსტრაცია.

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ისტორიული ბედისთვისაც, რომელთა წინაშეც ისახებოდა უცხოელი დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლების რეალური პერსპექტივები.

ახდა ამიერკავკასიის ხალხთა ოცნება. გმირმა რუსმა ხალხმა შეასრულა თავისი, როგორც განმათავისუფლებლის, ისტორიული მისია. მასთან სამუდამოდ დამოყვრებულმა ჩვენმა ხალხებმა მისი სახით იპოვეს ერთგული მეგობარი და ძმა, რომელიც მუდამ და უცვლელად, შემდგომი განვითარების ყველა ეტაპზე უანგარო დახმარებას უწევდა მათ. თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლით, თავდადებით, აღმშენებლობითი გენიითა და უდიდესი შრომისმოყვარეობით, სულგრძელობით, რევოლუციური ენერგიითა და ინტერნაციონალიზმით, მეგობრობისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებით რუსმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მხურვალე სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოიპოვა.

სომეხი ხალხისათვის მეტად ახლობელი და ძვირფასია ტყრფა საქართველო. ჩვენი ხალხები არიან ძმები, რომლებსაც ღრმა სულიერი ნათესაობა აკავშირებთ. ისინი ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ ათასწლეულების მანძილზე. საქართველოს ლხინი და ჭირი სომეხი ხალხისათვის მუდამ იყო სომხეთის ლხინი და ჭირი. როცა ქართველების ოჯახში მრავალკამიერი ისმოდა, ეს სიხარული იყო სომეხებისათვის, ხოლო როცა უბედურების მომასწავებელი ზარი რეკდა, ეს სომხეთისთვისაც ტრაგედიის ნიშანი იყო.

ძნელბედობისა და შემოსევების ქარტეხილი არაერთგზის დასტყდომია თავს ამიერკავკასიას, არაერთგზის შენმნია მოტეხვისა და ძირფესვიანად ამოგდების საფრთხე ჩვენი ხალხების მეგობრობის ხეს, მაგრამ მან ყოდიდეს განსაცდელსაც გაუძლო. გაუძლო იმიტომ, რომ ძმობის გრძნობა ცოცხლობდა და ცოცხლობს მათში დაბადებიდანვე, გადაიკვამოდა თაობიდან თაობას, მათი ისტორიული ყოფიერების ბუნებრივი ორგანული ნაწილი გახდა.

ამის დამამტკიცებელი უამრავი ფაქტია ჩვენი მრავალსაუკუნოვანი

მეგობრობის მატიანეში — შუშანიკის ცხოვრების აღწერიდან გენიალური რუსთაველისა და საიათნოვას, წერეთლისა და სულხან-საბას, ჭავჭავაძისა და თუმანიანის ქმნილებებამდე. ხოლო ის, რაც ვერ შემოინახა პირგამეხტმა და ხელნაწერებმა, შემოინახა ხალხის მეხსიერებამ, მისი სულის სიმღერამ.

წმიდათაწმიდა ძმური მეგობრობა — ეს არის ყველაზე ამაღლებული, ყველაზე ნათელი, ყველაზე ძვირფასი, რაც საუკუნეების მანძილზე გამოატარეს ჩვენმა მოძმე ხალხებმა. „საქართველო და სომხეთი საუკუნეების მანძილზე ერთად მოაბიჯებენ, — წერდა ავეტიქ ისააკიანი, — მოდიან საუკუნეთა სიღრმიდან — შუმერქალდეველთა დროიდან... არიან მეგობრები, ერთმანეთს უზიარებენ ბედნიერებას და კვლავაც გაუზიარებენ უკუნითი უკუნისამდე“.

ათასობით სომხისათვის ეს ქალაქი გახდა აღმოსავლეთის დესპოტების ტირანიისაგან, მტრის ურდოების განუწყვეტელი გამაოგებელი შემოსევებისაგან დამცველი მძლავრი და საიმედო ფარი.

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს შესვლას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ისტორიული ბედისთვისაც, რომელთა წინაშეც ისახებოდა უცხოელი დამპყრობლების უღლისაგან განთავისუფლების რეალური პერსპექტივები.

ახდა ამიერკავკასიის ხალხთა ოცნება. გმირმა რუსმა ხალხმა შეასრულა თავისი, როგორც განმათავისუფლებლის, ისტორიული მისია. მასთან სამუდამოდ დამოყვრებულმა ჩვენმა ხალხებმა მისი სახით იპოვეს ერთგული მეგობარი და ძმა, რომელიც მუდამ და უცვლელად, შემდგომი განვითარების ყველა ეტაპზე უანგარო დახმარებას უწევდა მათ. თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლით, თავდადებით, აღმშენებლობითი გენიითა და უდიდესი შრომისმოყვარეობით, სულგრძელობით, რევოლუციური ენერგიითა და ინტერნაციონალიზმით, მეგობრობისადმი, კომუნიზმის იდეალებისადმი ერთგულებით რუსმა ხალხმა ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის მხურვალე სიყვარული და ღრმა პატივისცემა მოიპოვა.

ათასობით სომხისათვის ეს ქალაქი გახდა მშობლიური სახლი, მეორე სამშობლო. საქართველოში, მის დედაქალაქ თბილისში ცხოვრობდა და, ქმნდა სომხური კულტურის არაერთი ცნობილი მოღვაწე. აქ იწყებდა თავის სახელოვანი გზას, და რუს, ქართველ, აზერბაიჯანელ ძმებთან ერთად, იბრძოდა შრომის განთავისუფლებისათვის, ახალი სამყაროსათვის, სჯედა ხალხების ინტერნაციონალურ ერთიანობასა და მეგობრობას ჩვენი ხალხის ბევრი შესანიშნავი შვილიც — გამოჩენილი რევოლუციონერები, ლენინური გვარდიის მეზრძოლები.

დიდმა ოქტომბერმა, სოციალისტურმა წყობილებამ, სსრ კავშირის შექმნამ სოციალური პროცესის მაგისტრალურ გზაზე გაიყვანა, სამუდამოდ შეაკავშირა ჩვენი ხალხები ერთიან საბჭოთა ოჯახად, ახალი შინაარსით გაამდიდრა მათი მეგობრობა და ძმობა. და დღეს ყოველ რესპუბლიკაში, ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში თვალნათლივ დარწმუნდებით, რა შესანიშნავ ნაყოფს იძლევა ხალხების მეგობრობა და ურთიერთდახმარება, ლენინური ძმობა, აღმშენებლობისა და პროგრესის რა ძლავრი მაცოცხლებელი ძალაა ეს.

ჩვენი ხალხების ბედნიერება ის არის, რომ ისინი მშობლიური პარტიის მეთაურობით უკვე მეშვიდე ათწლეულია ლენინური მეგობრობით ფრთაშესხმული ახორციელებენ სოციალური, ეკონომიკური და კულტურული პროგრესის მწვერვალებისაკენ ისტორიულ აღმასვლას. მათ ღრმად აქვთ შეგნებული, რომ ეს შესაძლებელი გახდა მათი ერთობლივი ბრძოლისა და შრომის, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამიმდევრული განხორციელების, დიდი რუსი ხალხის მუდმივი დახმარების მეოხებით.

საბჭოთა საქართველო ერთიან საბჭოთა ოჯახში ხალხის აღმშენებლობითი ძალების არნახული, აყვავების ბრწყინვალე მაგალითია. მაღალგანვითარებული ეკონომიკის, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის ეს რესპუბლიკა გახდა ნამდვილი მარგალიტი, ყველა თვალსაზრისით აყვავებული მხარე.

და რომ ეწვევი ახალი ცხოვრების შთაგონებულ და შამაც მშენებელთა მიწა-წყალს, არ შეიძლება აღტაცებაში არ მოგაყვანოს შრომისმოყვარე და ნიჭიერი ქართველი ხალხის ისტორიულმა მიღწევებმა და მონაპოვრებმა.

ქართველმა ხალხმა შექმნა ფასდაუდებელი სულიერი და მატერიალური სიმდიდრე, შესანიშნავი ქმნილებები შემატა მსოფლიო კულტურას.

და ამ ზეიმზე ჩვენ გვესმის მის გენიოსთა, შედევრების, ყოველივე იმის შემქმნელთა უკვდავი ხმები, რაც ქართული კულტურის დიდებასა და სიამაყეს შეადგენს, რამეთუ დღევანდელი ზეიმი — ეს არის თავისუფლების, ჰუმანიზმისა და ძმობის იმ მაღალი იდეალების გამარჯვებაც, რომლებისთვისაც ისინი იბრძოდნენ, რომლებსაც ღირსეული და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში, საბჭოთა სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. განაგრძობენ რა ინტერნაციონალისტურ და შრომითს ტრადიციებს, ისინი უცვლელად, წლითიწლობით აღწევენ ახალ-ახალ სიმაღლეებს სამეფონეო და კულტურულ მშენებლობაში, აი, უკვე მრავალი წელია გამარჯვებული მარშით მიაბიჯებენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

რესპუბლიკის კომუნისტების, მთელი ვმირი მუშათა კლასის, მისი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, შესანიშნავი ინტელიგენციის, ყველა მშრომელის აღმშენებლობითი ენერგია, რომელსაც მარჯვედ წარმართავს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, ხმარდება სკკპ XXVI ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, იმ დიდი და პასუხსაგები ამოცანების განხორციელებას, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის განცხადებასა და გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე მის პასუხში.

ყველას გვესმის, რომ მშვიდობას მივაღწევთ მხოლოდ ერთი გზით— სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებით, ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებით.

ამხანაგებო! საქართველო დღესასწაულობს გეორგიევსკის ხელშეკრულების ღირსშესანიშნავ იუბილეს მთელ ქვეყანასთან ერთად. ჩვენს ხალხთა ძმურ ოჯახში სხვაგვარად არც შეიძლება, რადგან სიხარული რა სიხარული, დღესასწაული რა დღესასწაული იქნება, თუ მათ მეგობრებს არ გაუზიარებ. ამ დღეებში სტავროპოლის მხარეში მრავალგზის მეორდება სიტყვები „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“. ამაზე მკაფიოდ და ზუსტად ვერ იტყვი. ძმური მხარდაჭერა ათკეცებს ჩვენს ძალებს. და როცა ამ დღესასწაულზე კავკასიონის ჭაღარა მთების გამოვლით თქვენთან მოვფრინავდით, გვგონა რომ იალბუზი — ჩვენი დიადი მეგობრობის ძველი და მარადიული მოწმე —თავისი მძლავრი ელვარებით გზას გვიღოცავდა მოძმე ხალხებისათვის ღირსი ახალი საქმეებისათვის.

ერთხელ კიდევ მხურვალედ და გულითადად გილოცავთ ჩვენს ძვირფას მეზობლებსა და ძმებს დღესასწაულს. გისურვებთ დიდ ბედნიერებას, სიხარულს, კეთილდღეობას თითოეულ ოჯახს, თქვენი შესანიშნავი მზიური რესპუბლიკის თითოეულ შვილს. ვუსურვებთ ყველა მშრომელს წარმატებით შეესრულებინოს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს! დაე, მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა! **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგ ვ. ს. მურახოვსკის გამოსვლა

(სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი)

პატივცემულო ამხანაგებო! მეგობრებო!

ნება მიბოძეთ, ორდენოსანი სტავროპოლის მხარის მშრომელთა სახელით, რომლის მიწაზეც 200 წლის წინათ დაიდო მეგობრობისა და ძმობის მანიფესტი, ურღვევი კავშირით სამუდამოდ რომ გაერთიანა რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული სვე-ბედი, მხურვალედ მოგესალმოთ და მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი იუბილე და სამშობლოს საპატიო ჯილდო.

მრავალი მკაფიო ფურცელია ჩაწერილი რუსი და ქართველი ხალხების ერთიანობისა და ძმობის ისტორიულ მატიანეში, ბევრი რამ საერთოა ჩვენს ბედში. და დღეს სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: წარსული, აწმყო და მომავალი, მისწრაფებანი და საქმენი —ყველაფერი ჩვენს ხალხებს აერთიანებს.

ყველა სტავროპოლელს კარგად ახსოვთ რუსეთის ფედერაციაში, მათ შორის სტავროპოლის მხარეშიც საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების შთამბეჭდავი დღეები. ეს დღეები გახდა საქართველოს შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხების კულტურის მიღწევათა მკაფიო, დაუვიწყარი დემონსტრაცია.

ეს დღეები იყო რუსი და ქართველი ხალხების მხურვალე ძმური გრძნობებისა და მეგობრობის პოლიტიკური მანიფესტაცია და მკაფიო დემონსტრაცია.

ჩვენნი სინამდვილე და ისტორიის ბევრი მაგალითი შესაძლებლობას გვაძლევენ ერთხელ კიდევ ნათლად შევიგრძნოთ ჩვენს წინაპართა სიბრძნე, რომლებმაც ორასი წლის წინათ მოახდინეს ისტორიულად გამართლებული, ერთადერთი სწორი არჩევანი რუსი და ქართველი ხალხების მარადიული კავშირისა და მარადიული ძმობის სასარგებლოდ. ქართველი ხალხის სახით რუსეთმა იპოვა მამაცი და სიმედო მეგობარი, რომლის ერთგულებამაც გაუძლო მკაცრ განსაცდელს და შედეგობებულია რუსი და ქართველი ხალხების საუკეთესო შვილთა სისხლით თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით ვიხსენებთ რუსეთისა და საქართველოს გმოჩენილ შვილებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჩვენი მეგობრობის განვითარებაში, ამდიდრებდნენ მას თავიანთი გონებით, ოდენებით, მოღვაწეობით, წმინდად ვიცავთ რევოლუციის რაინდთა, სამოქალაქო ომის გმირთა სახელებსაც, რომლებიც თავდადებით იბრძოდნენ კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ჩვენი სამშობლოს ხალხთა მეგობრობა მატებდა ძალებს საბჭოთა ადამიანებს სამოქალაქო ომთ დანგრეული მეურნეობის აღდგენის წლებში, მას ეყრდნობოდნენ პირველ ხუთწლედების წლებში. მან შეაჩერა ფაშიზმის შემოსევა და ჩვენი ხალხი გამარჯვებამდე მიიყვანა.

საქართველოს მიწაზე არ გადიოდა ფრონტის ხაზი. მაგრამ გმირობის ხაზი გადიოდა რესპუბლიკის მცხოვრებთა ყოველ სახლსა და გულში. და ფრიად სიმბოლურია, რომ გამარჯვების დროშა ფაშისტთა ბუნაგში ააფრიალეს რუსმა ჯარისკაცმა ეგოროვმა და საქართველოს მამაცმა შვილმა ქანთარიამ.

საბრძოლო ერთიანობის ძალა მკაფიოდ გამოვლინდა კავკასიის ულელტეხილებისათვის ბრძოლებშიც. რუსები და ქართველები, უკრაინელები და ყაზახები, ყველა მებრძოლი იმ დღეებში ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ —ვაქკაცობისა და სამშობლოს ერთგულების ენაზე. და როგორც ხალხთა დიადი მეგობრობის, ჯარისკაცული ვაქკაცობისა და გმირობის სიმბოლო, ჩვენს მხარეში დაბა ორჯონიკიძესთან აღმართულ ი ა კავკასიის ულელტეხილების დამცველთა მუზეუმ-ძეგლი.

რუსი და ქართველი ხალხების ისტორიულად დამკვიდრებული მეგობრობის სახელოვან ტრადიციებს დღეს განაგრძობს საბჭოთა ადამიანების ახალი თაობა. მეგობრობის მძლავრი სიმბოლო გახდა მშენებარე ელექტროგადამცემი ხაზი — 500, რომლითაც ქვეყნის ერთიან ენერგოსისტემას შეუერთდება ენგურის ჰიდროელექტროსადგურისა და სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული დენი. ქვეყნის გზებზე დაჭრიან ქუთაისური ავტომობილები, თქვენი რესპუბლიკა სტავროპოლის მხარისაგან იღებს მარცვლეულს, მინერალურ სასუქებს, პოლიეთილენს, ავტომობილის მისაბმელებს, მოლსადენ არმატურას, ლაქსოლებავებსა და სხვა პროდუქციას. წლითიწლობით მტკიცდება ძმობა და საქმიანი კონტაქტები.

1976 წელს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ხელშეკრულება დადეს ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებულმა მეღორემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნაზო პეტრიაშვილმა და საბჭოთა მეურნეობა „ლისოგორსკის“ მეღორემ მარიამ მოსკოცოვამ. მათი თანამეგობრობა

ელექტროსადგურისა და სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული დენი. ქვეყნის გზებზე დაჭრიან ქუთაისური ავტომობილები, თქვენი რესპუბლიკა სტავროპოლის მხარისაგან იღებს მარცვლეულს, მინერალურ სასუქებს, პოლიეთილენს, ავტომობილის მისაბმელებს, მოლსადენ არმატურას, ლაქსოლებავებსა და სხვა პროდუქციას. წლითიწლობით მტკიცდება ძმობა და საქმიანი კონტაქტები.

1976 წელს სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ხელშეკრულება დადეს ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის წარჩინებულმა მეღორემ, სოციალისტური შრომის გმირმა ნაზო პეტრიაშვილმა და საბჭოთა მეურნეობა „ლისოგორსკის“ მეღორემ მარიამ მოსკოცოვამ. მათი თანამეგობრობა

ძმობის საგალობელი

რუსეთთან, სხვა მოძმე ხალხებთან კავშირით საქართველოს მიერ მოპოვებულ მრავალ მიღწევასთან არის დაკავშირებული თარიღი, რომელსაც დღეს ვდღესასწაულობთ. გეორგიევსკის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრესული შედეგი ის არის, რომ მისი წყალობით ქართველმა ხალხმა შეძლო შეენარჩუნებინა და აეღორძინებინა თავისი ეროვნული კულტურა, აეყვანა იგი შინაარსით სოციალისტური და ინტერნაციონალური კულტურის მწვერვალებამდე. 29 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული საზეიმო კონცერტი იყო საქართველოს საუკეთესო ხელოვნების ოსტატთა შთამბეჭდავი ანგარიში, მან ორგანულად შეავსო გეორგიევსკის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ვ. გრიშინს, რომელიც გმირ ქალაქ მოსკოვის დელეგაციას მეთაურობს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. შევარდნაძეს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს თ. ნ. მენთეშაშვილს, დელეგაციათა ხელმძღვანელებს: რუსეთის ფედერაციისა — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ვ. პ. ორლოვს, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკისა — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჰ. მ. ბაგიროვს, სომხეთის სს რესპუბლიკისა — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ს. დემირჩიანს, სტავროპოლის მხარისა — სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ს. მურახოვსკის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებსა და წევრობის კანდიდატებს გ. ა. ანდრონიკაშვილს, გ. დ. გაბუნიას, პ. გ. გილაშვილს, გ. ნ. ენუქიძეს, ა. ნ. ინაურს, გ. ვ. კოლბინს, ჯ. ი. პატიაშვილს, ტ. ვ. როსტომაშვილს, დ. ლ. ქართველიშვილს, ო. ე. ჩერქეზიას, ზ. ა. ჩხეიძეს, ს. ე. ხაბეიშვილს, ბ. ვ. ადლეიბას, თ. ი. მოსაშვილს, ვ. რ. პაპუნიძეს, ფ. ს. სანკოევს, ე. კ. შარტავას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგეს ვ. ა. კონდრატიევს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს, გენერალ-პოლკოვნიკ ვ. მ. არხიპოვს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრს — პოლიტსამმართველოს უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა. ი. შირინკინს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსს, გენერალ-მაიორ ბ. ე. სენტიურინს, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ გ. ა. კუცს, საიუბილეო ზეიმის ყველა სტუმარს.

...ოთხ პოლიეკრანზე ერთდროულად გამოჩნდა ფილმი „წიგნი ფიცისა“ კადრები, რომლებიც აოადგენენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის პირველი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დღეს. ცოცხლდებიან ჩვენი გამჭრიახი წინაპრების სახქმენი და სახეები, თავიანთი ხალხის ნება რომ აღასრულეს....

კონცერტის მუსიკალურ ეპიგრაფს —საქართველოს სახალხო არტისტის რევაზ ლაღიძის სიმფონიურ სურათს „საჭიდაოს“, რომელიც შეასრულა საქართველოს დამსახურებულმა სიმფონიურმა ორკესტრმა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით, დამსწრენი გადაპყავს ხალხურ შემოქმედებასთან კულტურის ოსტატთა მრავალფეროვანი სულიერ-ესტეტიკური ურთიერთობის სამყაროში.

განვლილი საუკუნის მხატვრული სალონების —იმ ადგილების ატმოსფერო, სადაც ხვდებოდნენ რუსეთისა და საქართველოს განთლებული ადამიანები, გააცოცხლეს თბილისის ზაჭარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის მსახიობებმა, რომლებმაც შეასრულეს პოლონეზი პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინიდან“, და საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტებმა სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით, რომლებმაც წარმოადგინეს ხალხური ცეკვა „სადარბაზო“. სცენის სიღრმეში მოჩანს ნეკერჩხლებიანი ქალაქის კლასიკური სილუეტი: ხიდები, ფარნები — ჰარმონიულად ერწყმის ძველი თბილისის კონტურებს. ფოლადის კონსტრუქციებისაგან შესრულებული ეს კონტურები ქმნიან შთამბეჭდავ სახეს, რომელიც ქართული ხელოვნების დღესასწაულის იდეას აშექებს.

იგი ამ საღამოს წარმოდგენილია შესანიშნავი მსახიობებით. მათ შორის არიან საქართველოს სახალხო არტისტები ლიანა ისაკაძე და ელისო ვირსალაძე. სადღესასწაულო დათვალიერებაზე მათ ბრწყინვალედ შეასრულეს ვიოლდასა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

თითქოს საქართველოს ხმაო— ღრმად და „გულშიჩამწვდომად, წრფელად, გულითადად და მაღლიანად ჟღერს ხალხური სიმღერა, რომელსაც სახელმწიფო ანსამბლი „რუსთავი“ ასრულებს.

მელოდიურ აფხაზურ ხალხურ სიმღერას ასრულებენ საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის მსახიობები. ცეცხლოვანი „აჭარული სიუიტი“ მოხიბლა მაყურებელი საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლმა. როგორც ყოველთვის, სინატიფით გვაოცებს ოსური „სიმდი“, რომელშიც სოლოს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ინგა თევზაძე და საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ომარ ხუბაევი.

ჟღერს ძველებური რუსული რომანსი. რამდენი შესანიშნავი შემსრულებელი ჰყავდა მას საქართველოში — თამარ წერეთელი, ქეთო ჯაფარიძე, დები ინშნელები... რუსული რომანსის ქართული ტრადიციის შესანიშნავი გამგრძელებელია ნანი ბრეგვაძე, რომელსაც ამ დღეებში სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა. მომღერალმა და კონცერტმაისტერმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მედეა გონგლაძეულმა მსმენელს კვლავ განაცდევინეს გულში ჩამწვდომი რუსული მუსიკის მშვენიერება.

იცვლება რიტმები, მელოდიები. ფერები, მაგრამ უცვლელია ზეიმურობა, სინათლე, ოპტიმიზმი, რომელიც თან სდევს თითოეულ ნომერს. სცენაზეა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი პაატა ბურჭულაძე, საქართველოს • სახელმწიფო საგუნდო კაპელა, კრასნოიარსკის ცომბირის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობები სსრ კავშირის სახალხო არტისტის მ. გოდენკოს ხელმძღვანელობით. ეპიკურად, მძლავრად ჟღერს ერიომკას სიმღერა ა. სეროვის ოპერიდან „მტრის ძალა“.

ქართველი მსახიობები რუსულ სცენაზე... დიდი ხნის წინანდელი და შესანიშნავი ტრადიციაა, რომელიც განასახიერებს საბჭოთა ხალხების კულტურების სიახლოვეს, ნათესაობას. არაერთი წელია სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სცენაზე ბრწყინავენ ქართული ვოკალის სკოლის ოსტატები ლიანა ისაკაძე და დარბაზიც გულთბილად ხვდება სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტს, საქართველოს სახალხო არტისტს მაყვალა ქასრაშვილს, რომელმაც შეასრულა სანტუცას არია მასკანის ოპერიდან „სოფლის პატიოსნება“. მშუხარე ტაშით დაჯილდოვეს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ნინო ანანიაშვილი, რომელმაც შეასრულა ადანის ბალეტ „კორსარის“ ვარიაციები.

საქართველოს სახალხო არტისტმა კოტე მახარაძემ წაიკითხა ვლადიმერ მაიაკოვსკის ლექსი „ვლადიკავკაზი-თბილისი“. კინოქრონიკას მაყურებლები გადაჰყავს დაუვიწყარი 1917 წლის დღეებში და ჩნდება კომუნისტური პარტიის გარშემო შეკავშირებული გმირი ხალხის სახე.

ესტაფეტას კვლავ იღებენ კრასნოიარსკელი მსახიობები. მათ მხიარულად და ტემპერამენტით შეასრულეს ქორეოგრაფიული სიუიტა „ცომბირული სახუმარო“.

მაყურებლები გაახარა სსრ კავშირის სახალხო არტისტთან მიხეილ ლავროვსკისთან და საქართველოს სახალხო არტისტთან ირინე ჯანდიერთან შეხვედრამ, რომელებმაც შეასრულეს ა. ხაჩატურიანის ბალეტ „სპარტაკის“ ადაჟიო.

კონცერტში შემოქმედებითს ცვლას წარმოადგენენ ქალაქ თბილისის მესამე ექსპერიმენტული სკოლის საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლის და მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ბავშვთა ვოკალური ანსამბლის „მარ

ისტორია ფერთა გამაში

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის თეიმურაზ გოცაძის ტილოები, უთუოდ დაახსოვდებოდა მისეული ცისფერი — ნათელი, ულრუბელო, კამკამა, თითქმის გამჭირვალე. ამბობენ, ყოველ მხატვარს საკუთარი, გამორჩეულად საყვარელი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ფერი აქვსო. თ. გოცაძის ცისფერიც გამორჩეული და განსაკუთრებული. სწორედ ისეთი, მაშინვე რომ გაგახსენებთ „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“

სწორედ ასეთი დიდებული და მშვენიერი ზეციო გვირგვინდება მისი ახალი ნამუშევარი — მონუმენტური კარედი „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მხატვარმა გეორგიევსკის ტრაქტატის 200. წლისთავს მიუძღვნა.

ტილო ეთერთმტკარედიანია და თითოეულს საკუთარი დასათაურება აქვს. შეჰყურებ ამ საოცარ კომპოზიციას და თვალწინ იშლება გაცოცხლებული ქართლის ცხოვრება. აქ ყველაფერია, ქართული ხალხური ზღაპრის გმირებიც კი გადმოსულან ფერგადასული ფურცლებიდან და წუთით საკუთარ ბავშვობასთან გვაბრუნებენ. გაცოცხლებულან მითები და ლეგენდებიც, მათი გრძნეული გმირები, აგერ, არგონავტიკა — კოლხი ქალის ბედნავსი ალსასრული... ეს პირველი კარედია, მეორეს კი „მოქცევაი ქართლისა“ ჰქვია და საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებაზე, წმინდა ნინოს სასწაულმოქმედებაზე მოგვითხრობს. „წმიდა ქართლისა“ — ასე დაუსათაურებია ავტორს მესამე სურათი, რომელიც ათასგზის სიისლით დაცლილ სეგდიან-ტაციელიან საქართველოს გვახსენებს. სამაგიეროდ მეოთხე სურათი „გმირები და წმინდანები“ აღგვაცვლებს ოპტიმიზმით, — ყველანი აქ არიან, შუშანიკიდან ვიდრე თევდორამდე — ეკლის გვირგვინით მოსილნი, უკვდავებაში დავანებულნი. აქ არიან და, თითქოს, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისკენ მოგვიწოდებენ, მეხუთე კარედიდან საქართველოს ბრძენი მამანი გვიმზერენ — ფარნავაზი, რომელმაც „დაგვიკავიდრა წიგნი ქართული“ და მისი თანამდგომი რჩეული მოაზროვნენი, რომელთაც ასე შორს გაუთქვეს სახელი ქართველი კაცის ნიჭსა და გონიერებას. მეექვსე სურათი ოქროს ხანაა საქართველოსი — დიდი აღმაშენებელი, თამარი და რუსთაველი — ქართლის ცხოვრების უკვდავება და მარადიულობა! მეშვიდე სურათს, პირობითად, „ხელოვნება“ შეიძლება ეწოდოს. იგი მოიცავს და აერთიანებს მთელ ეპოქებს, „შენ ხარ ვენახიდან“ ვიდრე დღემდე და თანაც ერთი საერთო სულიკვეთებით — სამშობლო მიწის ერთგულებითა და მისი მოვლა-პატრონობის შეგონებით, ყოველივე იმ ამაღლებულით, რაც-საც წმიდათაწმიდას ვუწოდებთ.

მერვე სურათს „გმირობა“ ჰქვია — ცხრა ძმა ხერხეულიძე შეკრულან და შეფიცულან ჩვენი სახელოვანი გმირები და ქართველს დედის ლოცვა-კურთხევა ადგათ შარავანდედად.

აი, მეცხრე კარედიც — საქართველოს რუსეთთან შეერთებას რომ ასახავს. სწორედ ეს გახლავთ მთავარი ღერძი მთელი კომპოზიციისა. აქ თავი მოუყრიათ გატანჯული საქართველოს ჭეშმარიტ შვილებს, ერის ბედ-იღბლის განსაჯად შეკრებილან და მზად არიან ფიცის წიგნის საწერად. სურათის ცენტრალური დამაგვირგვინებელი ფიგურაა პეტრე პირველი.

მომდევნო, მეათე სურათს უკვე XIX საუკუნეში გადმოვყავართ. — ჭავჭავაძეთა სალონში გვეპატიჟება გრიბოედოვისა და პუშკინის გასაცნობად, ამასთან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქველმოქმედებასაც გვახსენებს და ვაჟას გენიას გვაზიარებს ილიასთან და აკაკისთან ერთად.

ბოლო, მეთერთმეტე კარედი, ჩვენი საუკუნის დასაწყისია — ჩვენ თვალწინ ცოცხლდებიან ბრველი რეკომები. და ჭაბუკ, თავგანწირულ რევოლუციონერთა შთაგონებული სახეები. სურათი სიმბოლურად ლენინის პორტრეტით მთავრდება, და ბოლოს, მთელ ქართლის ცხოვრებას, როგორც უკვე ვთქვით, მშვიდი, სუფთა და ლაჟვარდოვანი ზეცა დაჰყურებს.

მხატვარმა ორ წელიწადზე მეტი მოანდომა ამ ფართოპლანიან ტილოს და შეძლო კიდეც შეექმნა დიდი და მთლიანი კომპოზიცია ქართლის ცხოვრების უკვდავებისა.

ი. კუკავა.

წიგნით მეგობრობა

ქართული კულტურის ერთ-ერთი უდიდესი კერა, ცოდნისა და განათლების დაუშრეტელი წყარო — კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თავის ფონდებში 14 მილიონამდე ბეჭდურ ერთეულს ითვლის. ყოველწლიურად ბიბლიოთეკას 359-400 ათასი ერთეული ბეჭდური პროდუქცია ემატება ქართულ, რუსულ, საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა და მრავალ უცხოურ ენაზე.

აგერ უკვე 25 წელია, რაც ბიბლიოთეკა სარგებლობს საზღვარგარეთული გამოცემებით დაკომპლექტების მეტად მნიშვნელოვანი წყაროთი — საერთაშორისო წიგნგადაცვლით.

სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის გაცვლის პროფილი ძირითადად განსაზღვრულია საზოგადოებრივ მეცნიერებათა, კულტურისა და ხელოვნების დარგებით.

დღეისათვის საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის ამსახველი კარტოთეკა თვლის 20-მდე ქვეყნის 40 ბიბლიოთეკას, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციას. ესენია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, უნგრეთის, მონღოლეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ეროვნული ბიბლიოთეკები, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკა, ნიუ-იორკის საჯარო ბიბლიოთეკა, ჰარვარდის კოლეჯის ბიბლიოთეკა, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკა, ინგლისში—ბრიტანეთის ბიბლიოთეკა, ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის, ოქსფორდის და ბირმინგემის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკები, შვეიცარიაში — ციურიხის გამომცემლობა „ამირანი“, ჰოლანდიაში — ამსტერდამის უნივერსიტეტი, ინდოეთში — ეროვნული ბიბლიოთეკა, იტალიაში — ვენეციის ორიანოლოგიის ინსტიტუტი და სხვ.

მრავალი საინტერესო ცნობა მოაქვს საზღვარგარეთიდან მოსულ ყოველდღიურ კორესპონდენციას. ჩვენთვის მეტად საგულისხმოა ქართულ ენაზე დაწერილი წერილები, რომლებსაც ხელს აწერენ საზღვარგარეთელი ქართველოლოგები — ინგლისელი დავიდ ბარეტი და ჯორჯ ჰიუიტი, ციურიხელი ლეა ფლური, ვენეციელი ლუიჯი მაგორატო და სხვები.

საერთაშორისო გაცვლით შემოსატანი ლიტერატურის შერჩევის დროს, რისთვისაც ისინჯება მრავალი ქვეყნის ეროვნული ბიბლიოგრაფიები, საგამომცემლო კატალოგები და სხვა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ლიტერატურას საქართველოს, ამიერკავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის შესახებ, მათი ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ხელოვნების და სხვა ამსახველ მასალას, აგრეთვე საცნობარო ხასიათის ლიტერატურას.

ბოლო დროს დაკომპლექტების ამ წყაროთი შემოსული ქართველოლოგიური ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს უ. შტაინის „მე ვიცნობ საქართველოს“, გრ. აბაშიძის „ლაშარელა“ (მთარგმნელი ჰაინც ფენრიხი), გ. ლონდეს და სიმონ აპტის ნარკვევები „კავკასიური მოზაიკა“, კრებული „საზოგადოება და კულტურა ძველ წინააზიაში“, რომელშიც გამოქვეყნებულია ქართველ ისტორიკოსთა — გრიგოლ გიორგაძის, ნანა ხაზარაძის, მანანა ხიდაშელის, მანანა ხვედელიძის და ჯემალ შარაშენიძის საინტერესო შრომები, წაკითხული 1979 წელს ლაიფციგში გამართულ ლურსმნული დაწერლობის სოციალისტური ქვეყნების მკვლევართა მეორე მსოფლიო ყრილობაზე.

ახლახანს ბულგარეთის „კირილე და მეთოდეს“ ბიბლიოთეკიდან შემოგვემატა გ. ფანჯიკიძის „აქტიური მზის წელიწადი“ (მთარგმნელი მანონდრა გოსტინოვა), ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ (მთარგმნელი ზლატკა სტაიკოვი), „კუკარაჩა“ — ნ. დუმბაძის მოთხრობების კრებული (მთარგმნელები: გ. ჩეშმეჯიევა, დ. სტანკოვა, ე. საჯიევა და სხვა), ნ. ბარათაშვილის „მერანი“ (მთარგმნელი სტოიან ბაკეჯიევი), რევაზ ინანიშვილის „მოთხრობები“ (მთარგმნელი ტანია ატანასოვა), დონა მინჩევას მიერ შეკრებილი და თარგმნილი ქართული ხალხური ზღაპრები „ჯადოსნური ქუდი“ (მხატვარი პ. რაშკოვი).

აღსანიშნავია, რომ ქართული ზღაპრები გაზოიკა რუმინეთშიც. რუმინეთის სახელმწიფო ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ გამოგვიგზავნა ბარია როტის მიერ შეკრებილი და თარგმნილი „პოპულარული ქართული ზღაპრები“. იქიდანვე მივიღეთ ი. ნონეშვილის ლექსების კრებული „მედეა“, რომელიც თარგმნეს დ. იონმა და კ. ილიცამ, წინასიტყვაობა დაურთო დ. იონმა.

უნგრეთიდან შემოგვემატა ვ. ბერიძის „ნიკო ფიროსმანი“ (მთარგმნელი აგნეს ოსტოვიცი), იაპონიიდან — კეიიხი მორისეტას „საქართველოს ადამიანების გასაოცარი დღეგრძელობის საიდუმლოებანი“, თ. სახიკიძის და გ. აბრამიშვილის „ქართული ოქრომჭედლობა“, შვეიცარიიდან — ეოსუელა და ანდრე პელდის ფოტოალბომი.

სპეციალისტებისათვის ფრიად საინტერესოა ინგლისიდან გამოგზავნილი ქართველოლოგ ჯორჯ ჰიუიტის გამოკვლევები აფხაზური ენის შესახებ, ვ. მინორსკის „შუა საუკუნეების თურქეთი, ირანი და კავკასია“, სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრუისა“ (მთარგმნელი კ. ვივიანი).

ნელი ამაშუკელისა და ლამარა ნარიშვილის აწყარედი დაედო საფუძვლად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოსულ „საქართველოს ახალ პოეზიას“ (გამომცემლები მარტინ ბუჰორნი, ფელიტიტ ფრიშმუტი და ლუდვიგ ჰარიგი), რომელიც ახლახან მიიღო ბიბლიოთეკამ. აქვე უნდა მოვიხსენოთ საფრანგეთიდან გამოგზავნილი ჟ. ბუიონის წიგნი „საქართველო ოქროს საწმისის ქვეყანა“.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკისა და მისი ათასობით მკითხველისათვის მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია ის საცნობარო ხასიათის ლიტერატურა, რომლითაც ბოლო დროს შეივსო ბიბლიოთეკის ფონდები. ესენია სხვადასხვა ქვეყნის ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები, არქიტექტურული, თეატრალური და მუსიკალური ლიტერატურა.

ბიბლიოთეკის მკითხველთა თხოვნით საერთაშორისო [illegible] ბიბლიოთეკიდან [illegible] ზე მ. ლომაევმანის „ბასკური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის“ ორი ტომი, საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკიდან — კ. დელდალეტის „ბასკების ცივილიზაცია“, საინტერესო წიგნებია მიღებული სპორტის შესახებაც.

შთთა რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ბიბლიოთეკაში არსებულ მდიდარ კოლექციას შეემატა იტალიაში 1981 წელს გამოცემული მარიო პიჩის ნიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“.

მიღებული ლიტერატურის სანაცვლოდ ასობით წიგნი და პერიოდული გამოცემა გაგზავნილი ჩვენგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა საქართველოს გამოცემებზე საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ისტორიის, ლიტერატურთმცოდნეობის, ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ხელოვნების შესახებ. ხშირია მოთხოვნები ქართული ენის თვითმასწავლებელ სახელმძღვანელოებზე. მრავალი ქვეყანა დაინტერესდა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიით“. იგზავნება აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაში გამოცემული ათამდე დასახელების ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენი პარტნიორების დაკვეთით ბოლო დროს მსოფლიოს მრავალი მიმართულებით გაიგზავნა ჩვენი სახელოვანი მეცნიერების, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეთა ნაშრომები. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშივე გაიგზავნა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის ტომები, „სვანური ენის ქრესტომათია“, „სინური მრავალთავი 864 წლისა“, ნიკოლოზ ბარათაშვილის, აგრეთვე ქართველი საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები, ზ. ჰუმბურიძის ნარკვევი „სვანეთი“ და სხვა.

ავსტრალიაში გაიგზავნა: „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, „ქართული კლასიკური პოეზიის ანთოლოგია“, ნიკო ლორთქიფანიძის წიგნები. ჰოლანდიამ მოითხოვა ლადო გუდიაშვილის ალბომი, გიორგი ლეონიძის და სხვათა წიგნები.

ხშირ შემთხვევაში, როდესაც ითხოვენ იმ ლიტერატურას, რომელიც დაცული არ არის ბიბლიოთეკის გაცვლითს ფონდში და აღარც ბაზარზე შეძენა ხერხდება, მივმართავთ ავტორებს, რომელთა უმრავლესობა სიამოვნებით გვეხმარება.

ც. ჩიკვაშვილი,
კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის უცხოური ლიტერატურის განყოფილების გამგე.

ჩვენს ქვეყანაში

საკავშირო კორესპონდენტები გვატყობინებენ

რუსეთის სსრ



ხაბაროვსკის მხარე. სადგური „ორბიტა“ ქალაქ ამურის ნიკოლაევსკში. მისი წყალობით ამურის ქვემოწელის მიდამოების დახახლებული პუნქტების მოსახლეობას შეუძლია მიიღოს ცენტრალური ტელევიზიის გადაცემები.

მოსკოვი. კულინარული ხელოვნების წარსული, აწმყოსა და მომავლის გაცნობის შესაძლებლობა აქვთ მოსკოველებსა და დედაქალაქის სტუმრებს საზოგადოებრივი კვების მუზეუმში. იგი შექმნეს დედაქალაქის მომსახურების პიეროს ვეტერანებმა. მუზეუმში გამოფენილია ათი ათასზე მეტი ორგინალური ექსპონატი. მუზეუმს უკვე ათასობით დამთვალიერებელი ეწვია ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან.

სურათზე: მუზეუმის ერთ-ერთი კუთხე.

ბელორუსიის სსრ

მინსკი. უჩვეულო ტელეფონის ზარი გაისმა ამ დღეებში ზოგიერთი მინსკელის ბინაში. დინჯი ბარიტონი აცნობებდა აბონენტებს საქალაქთაშორისო საუბრის დიალიანების შესახებ და სთხოვდა მის სასწრაფოდ დაფარვას. გულმავიწყ აბონენტებს ურეკავდა რობოტი „ფონემოფონი“, რომელიც შეიმუშავეს ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მინსკის განყოფილების მეტყველების ანალიზისა და სინთეზის ლაბორატორიაში.

„ფონემოფონი“ დაეხმარება მეცნიერებსა და კონსტრუქტორებს კავშირგაბმულობის სისტემაში მოახდინონ ძირეული გარდაქმნები. საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრის დამთავრებისთანავე რობოტი დაურეკავს აბონენტებს და შეატყობინებს საუბრის ხანგრძლივობასა და ღირებულებას. ყოველივე ეს ხელს უწყობს ქაღალდის საქმისწარმოების თავიდან აცილებას, გამოათავისუფლებს ბევრ თანამშრომელს უფრო ნაყოფიერი სამუშაოსათვის, განტვირთავს საინფორმაციო გამოთვლითს ცენტრსა და საფოსტო განყოფილებებს, შეამცირებს საქართველო ქაღალდის მოხმარებას და საფოსტო ხარჯებს.

ამას გარდა „ფონემოფონის“ გამოყენება შეიძლება ყველგან, სადაც ვროვდება მართველისათვის აუცილებელი ცნობები, სადაც ხალხს სჭირდება ხმოვანი ინფორმაცია, ფოსტამტში, ცნობათა ბიუროებში, ადრესატებისათვის ტელეფონით დეპეშების გადაცემისას, სხვადასხვა სასამსახურო სერვისში.

მომავალი წლიდან კალინინგრადის ექსპერიმენტულ-მექანიკური ქარხანა დაიწყებს ახალი მოწყობილობის სერიულ გამოშვებას.

სომხეთის სსრ

კიროვაკანის ქარხანა „ავტოგენმანქანის“ ფართო მოხმარების საყოფლის საამქრო ზრდის და აფართოებს მომინანქრებული საოჯახო მოხატული ჭურჭლის წარმოებასა და ასორტიმენტს. წლის დამდეგიდან ამ სახის პროდუქცია თითქმის იმდენივეა გამოშვებული, რამდენიც შარშან მთელი წლის განმავლობაში. ამჟამად ქარხანა აწარმოებს ათობით დასახელების მომინანქრებულ ჭურჭელს, მაგრამ მალე ასორტიმენტი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

სურათზე: ქარხნის ასორტიმენტის კაბინეტში. საამქროს მუშა ნ. ევოიანი პროდუქციის ნიმუშებით.

ტაჯიკეთის სსრ

ტაჯიკეთის სსრ. წარმატებით ხორცელდება დუშანბეს საქალაქო მეურნეობის განვითარების ღონისძიებანი.

1990 წლისათვის ქალაქს შეემატება ახალი პროსპექტები, მოედნები, პარკები. 6-7 წლის განმავლობაში ქალაქის საცხოვრებელი ფონდი თითქმის ერთნახევარჯერ გაიზრდება. ტაჯიკეთის ტრადიციულად დაბალ სართულიან დედაქალაქში აიგო რამდენიმე უბანი, სადაც 9-12 — სართულიანი სახლები ქაოდგა.

მთებით გარშემორტყმულ ქალაქს გაფართოების შესაძლებლობა აღარა აქვს, მოსახლეობა კი საკმაოდ სწრაფად იზრდება და დღეს-დღეობით ნახევარმილიონს აჭარბებს. სწორედ ამიტომ ნიადეს გადაწყვეტილება მრავალსართულიანი სახლების მშენებლობის შესახებ. მაგრამ ქალაქი მდებარეობს 8-9-ბალიან სეისმურ ზონაში, რთულ გრუნტზე და ამიტომ მაღლივი შენობების მშენებლობა მოითხოვდა სიფრთხილესა და კომპლექსურ მიდგომას. ახლა იგი წარმატებით წყდება.

ბევრი საცდელი შენობა გამოიცადა სეისმური აფეთქებებით, ვიბრაციული და სხვა დინამიკური საშუალებებით.



სურათზე: ტაჯიკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სეისმომედეგი მშენებლობისა და სეისმოლოგიის ინსტიტუტის საცდელი პოლიგონი, სადაც აფეთქების საშუალებით იწვევენ 8-9 ბალის სიმძლავრის ხელოვნურ მიწისძვრას.

თურქმენეთის სსრ

აშხაბადი. ბარქანის ქვიშების 200-ჰექტარიანი მასივის ათვისების ხარჯები ბამბის უხვი მოსავლის მოყვანით აინაზღაურა. კოლმეურნეობამ „თურქმენეთის სსრ 40 წლისაა“, რომელიც ჩრდილოეთ თურქმენეთში მდებარეობს. მეურნეობის მიწათმოქმედებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს ყამირ მიწებზე მოწეული 1000 ტონა ნედლეული. აქ თითოეული ჰექტარი 30 ცენტნერს იძლევა. მეურნეობაში გრძელდება უდაბნოს მასივების მელიორაცია. მათი ათვისების ხარჯზე დაგეგმილია ხუთწლედის ბოლოსათვის გაორკეცონ ბამბის მოსავალი.

უზბეკეთის სსრ

ტაშკენტი. უზბეკეთის კავშირგაბმულობის უძველესი დაწესებულების — ტაშკენტის ფოსტამტის მშრომელებმა ახალმოსახლეობა იზეიმეს. ახალი შენობის კორპუსმა დაამშვენა რესპუბლიკის დედაქალაქის ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩა. კავშირგაბმულობის კომპლექსის ფართობი 60 ათასი კვადრატული მეტრია. ავტომატიზაციისა და მექანიზაციის მაღალი დონე საშუალებას იძლევა კლიენტების მომსახურების აუცილებელი დრო მინიმუმამდე შემცირდეს.

უაზახეთის სსრ

ალმა-ათა. უაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების დახმარებით გადიდდა დოუნრაფსკის მაღაროს უკუგება. იცვალა რა დედამიწის ქერქში სასარგებლო წიაღისეულის განლაგების კანონზომიერება, მათ გამოავლინეს სპილენძის მასივის მდიდარი განშტოება. მეცნიერების რეკომენდაციების გათვალისწინებით მაღაროელებმა დაიწყეს მაღაროს რეკონსტრუქცია. ეს დაეხმარება მათ შეინარჩუნონ სპილენძის ამოღების ტემპი.

ზაურ ბოლქვაძე

ხელეგით გათლილი აკვნეგი

ხმლებით გათლილი აკვნები
სულია საქართველოსი,
ხატია ყველა ქართველის,
ნათელი ადგას შელოცვის;

აკვნები— ხმლებით გათლილი—
სახეა ჩვენი მამულის,
ჩვენს ისტორიად ანთია,
ჩვენივე ცრემლით ნამული.

...ათასგზის აოხრებისას
ჩეხავდნენ ციდა ბავშვებსაც!
არ ეყოთ სიგრძე ხმლებისა
ქართული ცის დასაჩეხად.

ქართველთა სიხლით გამორწყეს
სიუხვე ქვეყნის ზღვებისა,
მაგრამ იმედი ვერ მოსპეს
სამზეოს შეხიზნებისა.

შინაურ მტერთა ბრჭყალებით
გვახრჩობდნენ მტრები გარეშე:
წლები ტანჯვის და წვალების —
კურცხლებით ვიანგარიშეთ.

ბედი არც შვილებს წყალობდათ,—
ეწვოდათ გულთა სინდლე, —
და ქართულ ანბანს სწავლობდნენ
საბრძოლო შეძახილებზე.

თავს გვატყდებოდნენ მეხივით
სამშობლოს დამნისლელები,
მიწა — ვაზამოჩეხილი —
ტიროდა ცვარის ცრემლებით.

მოქნეულ ხმალთა კოცონებს
ხანძრებად ეგებებოდნენ,
სიკვდილისათვის ცოცხლობდნენ,
სიცოცხლისათვის კვდებოდნენ!..

სისხლიან ხმლებით ზომავდნენ
საწუთროს წუურვილ-სიდიდეს,
და წლოვანებას, ომამდელს,
ნაიარევით ითვლიდნენ!..

კვდებოდნენ!.. უკვდავ ფესვებად
სუნთქავდნენ სამარეშიაც.
მათ ერთი არდაკვნესება
ათას სიცოცხლეს ერჩიათ.

შაბი, სულთანი, ამირა—
ბეგობდნენ ჩვენს გადაბუგვაზე,
და, საქართველოს მაგივრად,
მახვილს ხატავდნენ რუკაზე.

ყველა მომხდურმა ინანა,
არ გავახარეთ არვინა,
სამშობლო —საამირანო —
ვერვინ წაართვა ამირანს!..

ამაოდ როდი დავლვარეთ
სისხლი-მძებნელი ნათლისა —
ჩვენ ნამდვილ ძმად და დამხმარედ
რუსეთი გვემარადისა!..

დაგვაკავშირა ჩრდილოეთს
ძმობის უძლეგმა ძალამ! —
ჩვენს მოურჩენელ ჭრილობებს
ბოლოს დაედო მალამო!..

მტრებს საკადრისი მივაგეთ!..
არც აქ ვახარეთ, არც — იქა!
კავკასის კლდეთა სიმაგრე
ძმობას დავუდეთ საძირკვლად!..

სისხლით და ოფლით დაეწერეთ
ნაისტორიო ფურცლები,
და ყველგან ერთად ვახსენეთ
საქართველო და რუსეთი!..

დღეს მეგობრობის ნაღვერდლებს
გზაგზა ვაქვთ თვალებში.
გულები როგორ ამღერდნენ
ამ ნაღვერდლების გარეშე?!

მიწამ ამრავლა ნათესი,
ამოღაენა სამადნეთი.
დგას საქართველო — ნავხე მზით,
მზიური სამადლობელი!..

დგას და დიდ ძმობას, მარადის
ლოცავს რუსთველის პწკარებით,
ერთსულოვნება დაგვნათის,
გვფარავენ მისი ფარები!

მშვიდობის მხსნელ მზედ შედედა
დაღვრილი სისხლი —ნათელი—
და ახლაც უდგათ ჩვენს დედებს
ხმლებით გათლილი აკვნები!..

მშვიდობის ყველა ხელმყოფელს
ვაკვდებოდით და ვაკვდებით,
და შევაკვდებით! — მეფობდნენ
რათა ამქვეყნად აკვნები!..

სატურნირო ორგიტა

ბაღრაკი. იუგოსლავიის ქალაქ სმერდევესკა-პალანკაში მიმდინარე ქალთა საერთაშორისო შეჯიბრების ბოლო, XI ტურის წინ მაია ჩიბურდანიძემ 8 ქულა დააგროვა და ახლა დანარჩენი მეტოქეებისთვის მიუწვდომელია. პოლონელ ერენსკას ბოლო ტურის წინ 6,5 ქულა ჰქონდა, უნგრელ ვერეცი-პეტრონიჩს — 6.

ფეხბურთი. გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეთხუთმეტე ტურის ბოლო მატჩი. ცსკამ მიიღო „ნეფთჩი“. შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 2:1.

დღეისათვის გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპ.“	33	21	5	7	59-34	47
„სპარ.“	33	18	9	6	58-21	45
„დინ.“ (მნ)	33	16	9	8	49-33	41
„ყაზგორ.“	33	15	9	9	38-35	39
„ზენიტი“	33	14	11	7	41-32	38
„ტორ.“ (მ)	33	14	10	9	40-34	38
„დინ.“ (კ)	33	13	10	10	42-34	36
„მახტ.“	33	16	3	14	48-39	35
„ჩერნომ.“	33	15	5	13	40-45	35
„ფახთაკ.“	33	13	9	11	36-32	35
ცსკა	33	11	12	10	37-32	32
„მეტალ.“	33	12	7	14	38-40	31
„ნეფთ.“	33	10	9	14	32-38	29
„არარ.“	33	11	6	16	29-47	28
„დინ.“ თბ	32	8	9	15	40-47	25
„დინ.“ (მ)	32	7	11	14	28-37	24
„ტორ.“ (ქ)	33	4	12	17	26-50	18
„ნისტ.“	33	3	4	26	18-69	10

1 ნოემბერს მოსკოვში მოეწყობა მოსკოვისა და თბილისის დინამოელთა გამოტოვებული შეხვედრა, 6 ნოემბერს კი გაიმართება ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩები.

ბროცლავში მოეწყო ევროპის ჩემპიონატის შერჩევითი მატჩი (მეორე ჯგუფი) პოლონეთისა და პორტუგალიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. შეხვედრა მოიგეს პორტუგალიელებმა ანგარიშით 1:0. ბურთი გაიტანა მანუელმა. ამ ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი დარჩა გასამართავი: პორტუგალია-სსრ კავშირი (13 ნოემბერს). დღეისათვის კი გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 9 ქულა, პორტუგალია — 8, პოლონეთი— 4, ფინეთი — 1.

სპორტული ტანვარჯიში. ბუდაპეშტში მას შემდეგ, რაც ქალთა კოლექტივებმა ნებისმიერი პროგრამით ისაპარეზეს, გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედლებს დაეუფლნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები (ნ. იურჩენკო, ა. შიშოვა, ო. მოსტეპანოვა, ო. ბიჩეროვა, ტ. ფროლოვა და ნ. ილიენკო) — 393,45 ქულა. მეორე ადგილი დაიკავეს რუმინელებმა — 392,10, მესამე — გდრ-ის სპორტსმენებმა — 389,25, მეოთხე ბულგარელებმა — 388,95, მეხუთე — ჩინელებმა — 387,65, მეექვსე — ჩეხოსლოვაკიელებმა — 386,95 ქულა. ვაჟთა შორის მრავალჯერადი ჩემპიონი ალექსანდრ ალექსეევი ბოლო ტურის ბოლოს ბარიერებზე ფეხებს ერევა, ბოლოს ბოლოს ბოლოს